ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 19 დეკემბერი 1995 № 84 (222) | ფასი 30 თეთრი

# FOOTBALL COMES HOME

დავით მჭედლიშვილი,
ლონდონიდან



არც მეტი, არც ნაკლები, ფეხბურთი შინ ბრუნდება. ასე თვლიან ინგლისელები, რომელთაც ერთხელ, 1966 წელს უმასპინძლეს მსოფლიოს ჩემპიონატს და ოქროს მედლებიც მოიპოვეს. ზაფხულზე ეს ქვეყანა მეორედ უმასპინძლებს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას — ევროპის პირველობას. ცხადია, აქ დიდი სამზადისი და აჟიოტაჟია. აქაურები, რომელთაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვებისგან განსხვავებით ფეხბურთისადმი რაღაც თავისებური, მესაკუთრული დამოკიდებულება აქვთ, ძლიერ აალელვა კვირას ბირმინგემში გამართულმა კენჭისყრამ. ჯერ ერთი, თავისთავად კენჭისყრის ფაქტია მნიშვნელოვანი — ვინ ვისთან მოექცევა ჯგუფში — მეორეც, როდესაც ყველაფერი გაირკვა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა ინგლისის და შოტლანდიის ერთ ჯგუფში მოხვედრას. საქმე ის გახლავთ, ამ გუნდების შეხვედრა თვით უეფას დიდმოხელეებსაც კი არ უნდოდათ, მაგრამ წილისყრა ბრმაა, ბედი კი ხუმარა. რეპორტიორები, ცხადია, მყის ამ გუნდების მწვრთნელებს შემოეხვივნენ.

— ჩემთვის იდეალური იქნებოდა დანიასთან, შვეიცარიასთან და თურქეთთან მოხვედრა — თქვა შოტლანდიელთა მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა — ყველაზე მეტად არ მინდოდა ხორვატია, რადგან კაცმა არ იცის, რა გუნდია. რაც შეეხება ინგლისს, ამ გუნდთან თამაში სულ მსურდა, ახლა კი ბედმა ოფიციალურად შეგვახვედრა ერთმანეთს.

მისი თქმით, შოტლანდიელ გულშემატკივრებს რომ ჰკითხო, რა გირჩევნიათ, ინგლისთან მოგება და შემდეგ წრეში ვერგასვლა თუ გასვლა, მაგრამ ინგლისთან წაგება, ოღონდ მაგათთან მოვიგოთ და ვინ სად გავა, სულ არ დავეძებთო — გიპასუხებენ. ინგლისელებთან შეხვედრამ შოტლანდიელი მოთამაშეებიც ძლიერ ააფორიაქა. ისინი სულ ამ მომავალ მატჩზე ლაპარაკობენ და სხვა მეტოქეებზე არც ფიქრობენ.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელებმა ტერი ვენეიბლზმა თქვა: „ბრაუნს ხშირად ვთავაზობდი ამხანაგური თამაშის ჩატარებას. ისიც მოწადინებული იყო, მაგრამ ოფიციოზი არ გვრთავდა ნებას. ახლა ერთმანეთს შევხვდით და თამაში, რომელიც ასე სურდა ყველას, გაიმართება. რაც შეეხება გულშემატკივრებს, ისინი არ იწუხებენ, რადგან მათაც არ ენდომებათ ამ შეხვედრის ჩაშლა."

ამ თამაშზე დასასწრებ ბილეთთა უმრავლესობა უკვე გაყიდულია. ახლა აცხადებენ, ბილეთების შოტლანდიელო მფლობელებო, მოდით, უნდა ალგრიცხოთო. ცნობილია, რომ კიდევ 7 ათასამდე ადგილს სწორედ შოტლანდიელებს გამოუყოფენ.

ამავე ჯგუფში მოხვედრილი ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი გუს ჰიდინგი კი დიპლომატი აღმოჩნდა: „ძალიან მომწონს ინგლისური ფეხბურთი. თქვენს თამაშებს რომ ვუყურებ, აზარტი მხიბლავს" — უთხრა მან აქაურ ჟურნალისტებს.

ტერი ვენეიბლზის თქმით, მათ ჯგუფში ფავორიტი ჰოლანდიაა. ამ ნაკრებს კარგად შეთამაშებული აიაქსელები ეყოლება, რომელთაც კარგად იციან, როგორ იმოქმედონ მოედანზე.

UEFA EURO 96 England

**A**

ინგლისი
შვეიცარია
ჰოლანდია
შოტლანდია

**B**

ესპანეთი
ბულგარეთი
რუმინეთი
საფრანგეთი

**C**

გერმანია
ჩეხეთი
იტალია
რუსეთი

**D**

დანია
პორტუგალია
თურქეთი
ხორვატია

ფინალური ეტაპის თამაშთა განრიგი — მეორე გვერდზე



# გამოუშვით ეგ თქვენი ტაისონი!



— იქადნება კრივის მსოფლიო საბჭოს მძიმეწონოსანი ჩემპიონი ფრენკ ბრუნო.

ბრიტანელთა კერპი ეგზომ კარგ ხასიათზე მაიკ ტაისონ — ბასთერ მათიას-უმცროსის ამასწინინდელმა ბრძოლამ დააყენა, რომელიც მართალია, ნაციხარმა ნოკაუტით მოიგო, მაგრამ რინგზე ძველი ტაისონის აჩრდილსღა წააგავდა.

— მაგას ხომ უეჭველად გავაგორებო — განაცხადა ბრუნომ.

**ბრუნო — ტაისონის საჩემპიონო ბრძოლა 16 მარტს ლას-ვეგასშია დანიშნული**

იხილეთ მერვე გვერდი

## წარდგენილია ჟორდანიას პრემიის მოსაპოვებლად



18 დეკემბერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე ანდრო ჟორდანიას სახელობის ყოველწლიურ პრემიაზე წარდგენილი კანდიდატურები განიხილეს. როგორც შევიტყვეთ, უფროსთა გუნდების მწვრთნელთაგან დასახელებული იყო მხოლოდ ალექსანდრე ჩივაძე, ბავშვთა მწვრთნელებიდან კი რეზო გაგუა და გელა გომელაური „ნორჩი დინამოელიდან", კოტე ჯალიაშვილი — „თბილისიდან" (ყოფილი „მაისი") და მიხეილ ჯარმელაშვილი „ავაზიდან". ჩივაძის კანდიდატურა ერთხმად მიიღეს, ბავშვთა მწვრთნელებიდან კი განხილვის შემდეგ პრემიაზე გელა გომელაური წარადგინეს.

ლაურეატთა ვინაობა საბოლოოდ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე გადაწყდება.

# ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის განრიგი

EURO96 England

დრო თბილისურია

**წინასწარი ეტაპი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | ივნისი | უემბლი | 19.00 | A | ინგლისი — შვეიცარია |
| 9 | ივნისი | ლიდსი | 18.30 | B | ესპანეთი — ბულგარეთი |
| 9 | ივნისი | მანჩესტერი | 21.00 | C | გერმანია — ჩეხეთი |
| 9 | ივნისი | შეფილდი | 23.30 | D | დანია — პორტუგალია |
| 10 | ივნისი | ბირმინგემი | 20.30 | A | პოლანდია — შოტლანდია |
| 10 | ივნისი | ნიუკასლი | 23.30 | B | რუმინეთი — საფრანგეთი |
| 11 | ივნისი | ლივერპული | 20.30 | C | იტალია — რუსეთი |
| 11 | ივნისი | ნოტინგემი | 23.30 | D | თურქეთი — ხორვატია |
| 13 | ივნისი | ბირმინგემი | 23.30 | A | შვეიცარია — პოლანდია |
| 13 | ივნისი | ნიუკასლი | 20.30 | B | ბულგარეთი — რუმინეთი |
| 14 | ივნისი | ლივერპული | 23.30 | C | ჩეხეთი — იტალია |
| 14 | ივნისი | ნოტინგემი | 20.30 | D | პორტუგალია — თურქეთი |
| 15 | ივნისი | უემბლი | 19.00 | A | შოტლანდია — ინგლისი |
| 15 | ივნისი | ლიდსი | 22.00 | B | საფრანგეთი — ესპანეთი |
| 16 | ივნისი | მანჩესტერი | 19.00 | C | რუსეთი — გერმანია |
| 16 | ივნისი | შეფილდი | 22.00 | D | ხორვატია — დანია |
| 18 | ივნისი | ნიუკასლი | 20.30 | B | საფრანგეთი — ბულგარეთი |
| 18 | ივნისი | ლიდსი | 20.30 | B | რუმინეთი — ესპანეთი |
| 18 | ივნისი | ბირმინგემი | 23.30 | A | შოტლანდია — შვეიცარია |
| 18 | ივნისი | უემბლი | 23.30 | A | პოლანდია — ინგლისი |
| 19 | ივნისი | ნოტინგემი | 20.30 | D | ხორვატია — პორტუგალია |
| 19 | ივნისი | შეფილდი | 20.30 | D | თურქეთი — დანია |
| 19 | ივნისი | ლივერპული | 23.30 | C | რუსეთი — ჩეხეთი |
| 19 | ივნისი | მანჩესტერი | 23.30 | C | იტალია — გერმანია |

**მეოთხედფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22 | ივნისი | უემბლი | 19.00 | B 2 — A 1 |
| 22 | ივნისი | ლივერპული | 22.30 | B 1 — A 2 |
| 23 | ივნისი | მანჩესტერი | 19.00 | C 1 — D 2 |
| 23 | ივნისი | ბირმინგემი | 22.30 | C 2 — D 1 |

**ნახევარფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26 | ივნისი | მანჩესტერი | 20.00 | ლივერპული — ბირმინგემი |
| 26 | ივნისი | უემბლი | 23.30 | უემბლი — მანჩესტერი |

**ფინალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 | ივნისი | უემბლი | 23.00 |

## რა ხდება ფოთში?

„დინამოს" მერე ფოთის „კოლხეთი" ყველაზე სტაბილური გუნდია.. ხუთეულს არასდროს სცილდებოდა, ის კი არა, ერთხელ ვერცხლის მედალი მოიპოვა, ერთხელაც — ბრინჯაოსი. „კოლხეთი" იმ თითზე ჩამოსათვლელ გუნდთა რიცხვს განეკუთვნება, ჩემპიონატი იქნება თუ თასი, თბილისის „დინამოს" უგებდა კიდეც. წელს, ჩემპიონატის დასაწყისში, აკი ლიდერს ტოლსწორადაც ეთამაშა. ახლახან ასეთი ამბავი გავიგეთ: მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია „კოლხეთიდან" მიდის და მისი ადგილი ჯონი ჯანელიძემ უნდა დაიჭიროსო. ფოთში სატელეფონო ხაზი „არ იყო", ამიტომ ისევ თბილისურ საშუალებებს მივმართეთ. თავად ჯონი ჯანელიძემ კატეგორიულად უარყო მისი ფოთში გადაბარგების ამბავი. „კოლხეთის" ერთ-ერთი მწვრთნელი სერგო გაბელაია კი სულ ახლახან წამოვიდა ფოთიდან.

**— ბატონო სერგო, რამ გადაგაწყვეტინათ რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ ფოთიდან წამოსვლა?**

— მე თბილისელი ვარ და როგორც კი აქ გამოჩნდა სამუშაო, ბევრი აღარ მიფიქრია. თანაც, მეორე ჯგუფის ლიდერს ჩავუდექი სათავეში. ვფიქრობ, „მერანი 91"-ის მთავარი მწვრთნელობა სჯობია „კოლხეთი 1913"-ში მესამე მწვრთნელად ყოფნას.

**— თქვენი წამოსვლისას გუნდში როგორი ვითარება იყო?**

— მაშინ საგანგაშო არაფერი იყო.

**— სეზონის წინ რა მიზნები დაისახა „კოლხეთში"?**

— მესამე ადგილი და თასის ფინალი. ჯერჯერობით ორივე რეალურია. თუმცა ბევრი დაუგეგმავი ქულა დავკარგეთ, შინ „ბათუმთან", ზესტაფონში „მრგვეთთან"...

ყოფილი დინამოელები ძმები შალვა და ირაკლი ხუჯაძეები სეზონის წინ გადავიდნენ ფოთში. ირაკლიმაც ისეთი რამ მითხრა, ჭორი რეალური მეჩვენა.

— 27 ნოემბერს „სამტრედიასთან" წაგების შემდეგ შვებულებით ჩამოვედით. მახსოვს, ადრე სოსო ფილიას რაღაც უსიამოვნება ჰქონდა გუნდის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ჩემი წამოსვლის დროს ყველაფერი ნორმალურად იყო. 5 დეკემბერს ჩემი ძმა ჩასულა ფოთში და ფილიას უთქვამს, 10 იანვარს, შეკრებაზე რომ მოხვალ, შეიძლება გუნდიდან უკვე წასული ვიყოო...

მამუკა კვარაცხელია

## ალმასკომზე ბევრი რამ გაირკვევა

22 ან 25 დეკემბერს (ეს ჯერ არ გადაწყვეტილა) გაიმართება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა. პირველ რიგში მოისმენენ ნაკრებების მწვრთნელთა მოხსენებებს მათი საქმიანობის შესახებ. სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ სხვებთან ერთად განიხილავენ საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხსაც — მიეცეთ თუ არა ნაკრებებში მომუშავე სპეციალისტებს ცალკეულ კლუბებში მუშაობის უფლება. ეს საკითხი სამჯელო იმ მიზეზით გახდა, რომ ეს მწვრთნელები მთელი წლის მანძილზე მაქსიმუმ ორი თვე თუ არიან ნაკრებებში საქმიანობით დაკავებულნით. დანარჩენ დროს კი თავისუფალნი არიან და, რაც მთავარია, ბევრი მათგანით I და II ჯგუფის ლიდერთა ხელმძღვანელობაა დაინტერესებული. ჩვენთვის ცნობილი ვერსიის თანახმად, ასეთ მწვრთნელებს (ჩივაძისა და შენგელიას გარდა) ნაკრებებთან საკონტრაქტო წესით თანამშრომლობას შესთავაზებენ, რაც შემდეგს გულისხმობს — ისინი იმუშავებენ გუნდებთან, ნაკრებებთან კი შეკრებებზე მიიწვევენ და თანხასაც მხოლოდ იმ პერიოდში გაწეული მუშაობის შესაბამისად გადაუხდიან. თუმცა, ეს მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ვერსიაა, დანამდვილებით კი ყველაფერს ალმასკომის სხდომის შემდეგ შეგატყობინებთ.

## მხოლოდ ჯანაშია

ახლახან გაუწყებდით, რომ „სამტრედიის" მოთამაშეებს ზაზა ჯანაშიასა და ვალტერ გუჩუას მოსკოვის „ლოკომოტივი" იწვევდა. ეს ამბავი თითქოს გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ ბოლო ცნობებით მოსკოველებმა მხოლოდ ზაზა ირჩიეს. მიზეზი ეს ყოფილა: „ლოკომოტივში" უკვე შვიდი უცხოელი მოთამაშე ჩარიცხულა, რუსეთის ჩემპიონატში კი გუნდებს სამი უცხოელის გამოყვანის უფლება აქვთ და ამიტომ იური სიომინმა ამჯობინა თავი შეეკავებინა გუჩუას მიწვევისაგან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიზო ჯელაძე «დინამოში»?

როგორც შევიტყვეთ, „შევარდენი-ლოკომოტივისა" და ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშით გიზო ჯელაძითი თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა დაინტერესებულა და მისთვის „დინამოში" გადასვლა შემოუთავაზებია, რაც ჯელაძეს უცნობებია კიდეც „შევარდენის" ხელმძღვანელობისთვის. თუმცა არსებობს ამ საქმის მოგვარების დამაბრკოლებელი გარემოება: მეშვიდე ჩემპიონატის დებულების თანახმად, სეზონის შუალედში მოთამაშეებს მხოლოდ დაბალი ლიგიდან მაღალში გადასვლა შეუძლიათ (ანაც პირიქით); რადგანაც „დინამოც" და „შევარდენიც" I ჯგუფში ასპარეზობენ, ჯელაძის გადასვლაც „დინამოში", შესაძლოა, საეჭვო შეიქნას.

ირაკლი სულაძე

## ქართველები «დნეპრში» და ჩინეთში

რუსთავის „მეტალურგის" ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი, ალექსანდრე რეხვიაშვილი და თამაზ პერტია დნეპროპეტროვსკის „დნეპრში" გასასინჯად გაემგზავრნენ, ყოფილი ცხუმელი სოსო მალანია კი მალე გაემგზავრება ჩინეთს, სადაც მისი ყოფილი თანაკლუბელი გოჩა ჟორჟოლიანი ჩემპიონი გახდა.

# „ლოკომოტივი" — „სატურნის" ორბიტაზე

**ერთი წლის წინ გივი ნოდია სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივს" ჩაუდგა სათავეში. ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე გაცნობეთ, რასა იქმს რუსეთში მოსაქმე ქართველი მწვრთნელი. იქ კარგა ხანია დამთავრდა საფეხბურთო ჩემპიონატები ყველა ლიგაში, „ლოკომოტივმა" მეორე ლიგის დასავლეთ ზონაში მეხუთე ადგილი დაიკავა. ეს კლუბი ჩვენთვის იმითაც არის საინტერესო, რომ გივი ნოდიას გარდა მასში ორი ქართველი, ძმები ვარლამ და გიორგი კილასონიები გამოდიან, ეს უკანასკნელი კი ეროვნული ნაკრების წევრიცაა.**

**— ბატონო გივი, მოკლედ როგორ შეაფასებდით განვლილ სეზონს „ლოკომოტივისთვის"?**

— ჩვენი პირველი საუბრისის გითხარით, რომ როდესაც გუნდი ჩავიბარე, დასაკომპლექტებლად მეტად მცირე დრო რჩებოდა და ფონს ძირითადათ იმ ფეხბურთელებით უნდა გავსულვიყავით, კლუბში რომ დამხვდა. სეზონის წინ კარგად მოვემზადეთ, მაგრამ ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ ორი მარცხი ვიწვნიეთ, რაც შეუთამაშობლის და არასრული დაკომპლექტების ბრალი იყო. მერე კი გამარჯვების დროც მოვიდა. ჩვენ რეალურად ვაფასებდით ვითარებას და ამიტომ ამ სეზონში გადასვლა არ დაგვიგეგმავს, ეს სეზონი გუნდის შეთამაშებისთვის გამოვიყენეთ. პირველი წრე მეშვიდე ადგილზე დავამთავრეთ, მეორე წრეში კი ძმები კილასონიები დავიმატეთ და აღმასვლაც დავიწყეთ, ამ წრეში დაგროვებული ქულების მიხედვით I-II ადგილებზეც კი გავედით, საბოლოოდ კი ჩემპიონატი V ადგილით დავამთავრეთ. სეზონის ბოლოს გუნდი საკმაოდ კარგად იყო დაკომპლექტებული და, ვფიქრობ, ლიდერებს ბევრი არაფრით ჩამოუვარდებოდა.

**— როგორც ვიცი, „ლოკომოტივში" 1984 წლის სსრკ ჩემპიონის „ზენიტის" რამდენიმე ფეხბურთელი გამოდის...**

— კარში მიხეილ ბირიუკოვი დგას, ეს ორმოცსმიღწეული მეკარე სსრკ-ს დაშლის მერე ჯერ ფინეთში თამაშობდა, შემდეგ ესტონეთში. ჩვენ ჩამოვიყვანეთ და უნდა მოგახსენოთ, ბრწყინვალედ ითამაშა, მისი გამოცდილება გუნდს ძალზე გამოადგა. თანაც საკმაოდ კარგი პიროვნებაა და ადამიანური თვალსაზრისითაც ნამდვილი შენაძენია ჩვენი გუნდისთვის. იგივე შემიძლია გითხრათ დანილოვზე, რომელიც კილასონიების მოსვლამდე გუნდის საუკეთესო ბომბარდირი იყო და ჩვენს ჯგუფშიც ამ მხრივ ლიდერთა შორის იყო.

**— თქვენს გუნდში თამაშობდა ანდრეი დუმბაძე, რომელიც ადრე საქართველოში, თბილისის „ანცში" გამოდიოდა...**



— ისიც შეძლებისდაგვარად გვეხმარებოდა, მაგრამ ასაკმა თავისი გაიტანა და შუა სეზონში საზეიმოდ გავაცილეთ ფეხბურთიდან. ახლა დუმბაძე კლუბის მწვრთნელი-სესექციონერია.

**— კილასონიებზე გვითხარით...**

— მათი ჩამოსვლით, ფაქტობრივად, დასრულდა გუნდის დაკომპლექტება. გიორგი და ვარლამი ჩინებულად მოერგნენ გუნდს და არცერთი მატჩი არ ყოფილა, რომელიმეს გოლი არ გაეტანოს, ხშირად ორივესაც გაჰქონდა და გააქვს. გუნდის ხელმძღვანელობა ძალიან კმაყოფილია მათი თამაშით და იმ დიდი გუნდის წევრებადაც მიაჩნიათ, რომლის ჩამოყალიბებასაც ვაპირებთ. ორივე ოჯახებით ჩამოვიდა, ასე რომ, პატარა ქართული სატვისთომო შევქმენით. მოკლედ, კილასონიები დიდი შენაძენია ჩვენი გუნდისთვის და აღმოსვლაც სწორედ მათი ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო.

**— კიდევ ხომ არ არის მოსალოდნელი ქარველი ფეხბურთელის გამოჩენა „ლოკომოტივში"?**

— ვფიქრობ, ჯერჯერობით არა. თანაც გუნდში კილასონიების გარდა ერთი უკრაინელიც თამაშობს.

**— ახლა ყველაზე მთავარზე გადავიდეთ: რუსეთის პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ რუსეთის I ლიგაში მოასპარეზე „სატურნ-91", რომელიც ადრე „სმენა-სატურნის" სახელით გამოდიოდა, ფინანსურად გაღატაკებულა და ახლა ადგილს „ლოკომოტივს" უთმობს. ესე იგი, ფაქტობრივად უბრძოლველად მიაღწევთ იმას, რაც ახალ სეზონში ბრძოლით უნდა მოგეპოვებინათ.**

— სრული სიმართლეა. უკვე ყველანაირი მოლაპარაკება დამთავრებულია, „სატურნის" ხელმძღვანელობა თანახმაა. ამ კლუბს ქართველი მენეჯერი ირაკლი გეგეჭკორი ხელმძღვანელობს. ახლა მხოლოდ საბუთების მოგვარებაღა დარჩა მოსკოვში, რუსეთის საფეხბურთო კავშირში და გაისად I ლიგაში ვითამაშებთ. „სატურნიდან" 3-4 ფეხბურთელსაც დავიმატებთ. მოკლედ, ახალ სეზონს ალბათ პირველ ლიგაში, კიდევ უფრო გაძლიერებულნი დავიწყებთ.

**— სეზონის წინ სად მოემზადებით?**

— პირველ შეკრებას ფინეთში, მეორეს — კვიპროსში, მესამეს კი სლოვაკეთში მოვაწყებთ. მანამდე, იანვრიდან აქვე დავიწყებთ მზადებას.

**— ამ სეზონში უმაღლეს ლიგასაც ხომ არ შეუტევთ?**

— ვფიქრობ, ჯერ ნადრევია. რუსეთის მეორე ლიგაში საკმაოდ მაღალი დონეა, უფრო მაღალი, ვიდრე სსრკ მეორე ლიგაში იყო. ასევეა პირველ ლიგაშიც. აი, უმაღლესი კი აშკარად ჩამორჩება ძველი სსრკ ჩემპიონატს. მახაჩკალის „ანჟი" ჩვენთან მეშვიდე ადგილზე გავიდა, რუსეთის თასიდან კი ვლადიკავკაზის „სპარტაკი" გამოაგდო. მოკლედ, ჩვენ ჩვენს პროგრამას შევასრულებთ და თუ რეალურად გამოიკვეთა უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლის პერსპექტივა, რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ. გუნდი ახლა გაცილებით ძლიერი იქნება, თანაც კლუბი ფინანსურად ძალზე მყარად დგას ფეხზე.

**— საქართველოში დაბრუნებას არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით არა. აქ ყველა პირობაა საიმისოდ, რომ შენი ნიჭი და შესაძლებლობა სრულიად გამოავლინო. ოჯახიც მიეჩვია, ბავშვებიც სკოლაში მოვაწყვეთ, მოკლედ, შევეჩვიე პეტერბურგს. რამდენიმე წელი კიდევ გავჩერდები.

**— თვენი ვაჟი, ალექსანდრე, ფეხბურთს თამაშობდა და, როგორც მახსოვს, საკმაოდ კარგადაც. ახლა იგი 14 წლისაა, ფეხბურთში თუ მეცადინეობს?**

— ის საფეხბურთო სკოლა, რომელშიც საშკა მეცადინეობს, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაუარსებიათ პეტერბურგში, „სპორტი" ჰქვია. ვნახოთ, როგორ გააგრძელებს.

გივი ნოდიას წარმატებები კი ვუსურვე, მაგრამ სატელეფონო საუბარი მერეც კარგა ხანს გაგვიგრძელდა — სამშობლოს მონატრებული კაცი ყველაფერს მეკითხებოდა აქაურობის შესახებ და ბავშვივით ხარობდა...

მამუკა კვარაცხელია

— უცხოეთში რა საქმეზე ბრძანდებოდით?

— კლუბის საქმეებზე ვიყავი გერმანიაში და შვეიცარიაში. ვნახე რამდენიმე ჩემთვის საჭირო პიროვნება, მათ შორის ერიკ ეპლე და ჩემთვის და კლუბისთვის საინტერესო საკითხები დავადგინე. მაინტერესებდა გაისად ჩემპიონთა ლიგის 32 გუნდამდე გაზრდის საკითხიც, მაგრამ ამის შესახებ ჯერ კონკრეტულად არავინ იცის. მოგეხსენებათ, ჩემს იქ ყოფნის პერიოდში პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრა ტარდებოდა, მეგობრების მიპატიჟებით იქაც ვიყავი.

— კენჭისყრის მცირე ნაწილი ბევრმა გულშემატკივარმა ნახა და მაინც კიდევ რა იყო საინტერესო იქ?

— ჩვენი მეოთხე კალათაში მოხვედრა იმან გამოიწვია, რომ უეფამ ბოლო შესარჩევი ციკლის შედეგები არ გაითვალისწინა. ჩემი აზრით ფიფას ძალზე კარგი ვარიანტი ქონდა ევროპისთვის – 7 ქვეჯგუფი, 7-7 გუნდით, მაგრამ ევროპამ მაინც თავისი გაიტანა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ: ფიფასა და უეფას დაპირისპირებაზე, მაგრამ ორივეს ხელმძღვანელები პარიზში ისე იქცეოდნენ, თითქოს ყველაფერი ძველებურად არისო. სამხრეთმა ამერიკამ კი, როგორც იცით, თავისი ვარიანტი წარმოადგინა — იგი ფაქტობრივად სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატს ჩაატარებს და საფრანგეთის საგზურებიც იქ განაწილდება.

**პირველი წრის ბოლოს მანამდე ჩრდილში მყოფმა „დინამომ" უეცრად „ამოყვინთა" და ჩვეული, პირველი ადგილიც დაიკავა სატურნირო ცხრილში. „სამტრედიასთან" მოგება თბილისელთათვის ერთგვარი რეაბილიტაციაც გახლდათ ქომაგთა თვალში, რაკიღა ყველა ერთხმად აღნიშნავდა, ასეთი სუსტი „დინამო" არ გვახსოვსო. „დინამოს" პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ექიმივით ნიადაგ გუნდის მაჯისცემას ამოწმებს, ამიტომაც როცა საჭირო შეიქნა, „საგანგებო ვითარებაც" კი შემოიღო გუნდში და არცთუ უშედეგოდ — 1995 წლის დამლევი „დინამოსთვის" მეტად იღბლიანი გამოდგა: პირველი ადგილი პირველი წრის ბოლოს, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულება, კლუბის საქმეებს სასიკეთოდ რომ წაადგა და აი, ბოლო ცნობაც — კლუბის დირექტორატის ერთ-ერთი წევრი, ნიკო ლეკიშვილი სახელმწიფო მინისტრად დაანიშნაურეს. მერაბ ჟორდანიას ორიოდე დღის წინ, მორიგი საზღვარგარეთული ვოიაჟიდან დაბრუნებისთანავე ვესაუბრე...**



„დინამო" სამოცდაათი წლის წინ დაარსდა და ამ ხნის მანძილზე თავისი ტრადიცია და კოლორიტი ჩამოუყალიბდა. ვინც ვერ შეეგუება ან შეურაცხყოფს ამ კანონებსა და ტრადიციებს, იგი გუნდში ვერ გაჩერდება. აი, ეს მინდა [illegible] ხებ. იგი „დინამოში" აღარ ითამაშებს. ჯამარაული [illegible] ყველა [illegible] ფეხბურთელის ბედზე მე [illegible] ლებისდაგვარად ვზრუნავდი, ვუადვილებდი უცხოეთში წასვლას და იქ თამაშისა და ცხოვრების საკითხებსაც მეტად სათუთად ვეპყრობოდი. ჯამარაულის შემთხვევაში კი არაფერს ვიზამ. იგი ტრანსფერზეა წარდგენილი და დაე, თავის ბედს თვითონ მიხედოს.

— ყოველ შემთხვევაში, ხელს ხომ არ შეუშლით მის გადასვლას სხვა კლუბში?

— ხელს არ შევუშლი, მაგრამ თავად არ დავიწყებ მისთვის გუნდის ძებნას. აქ ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც ევროპაში ხდება ხოლმე. როცა რომელიმე ფეხბურთელს ტრანსფერზე წარადგენენ...

— კლუბის დირექტორის ერთ-ერთი წევრი, ნიკო ლეკიშვილი სახელმწიფო მინისტრი გახდა. ესეც ალბათ გარკვეულწილად კლუბის წისქვილზე დაასხამს წყალს...

— რა შემიძლია გითხრათ. ნიკო ლეკიშვილი ის კაცია, სადაც უნდა იყოს, რომელ თანამდებობაზეც, თავის ვალდებულებას თბილისის „დინამოს" მიმართ მაინც შეასრულებს.

— რადგან ზემოთ ჩემპიონთა ლიგა ახსენეთ, ამასაც გკითხავთ: განა ჩვენი სტადიონი მზადაა ამ დონის თამაშების სამასპინძლოდ?

— სტადიონის საკითხი ყველაზე მტკივნეულია, რადგან მის შეკეთებას და ისე მოწყობას, უეფა რომ თხოულობს, კოლოსალური თანხა სჭირდება. ამიტომ ყველაზე რეალურია, რომ სტადიონი საქციო საზოგადოებად იქცეს.

— მაშ, უკვე გაისად იქნება შანსი, რომ „დინამო" ძლიერ გუნდად წარდგეს ჩემპიონთა ლიგაში?

— გაისად რომ „დინამო" ძლიერი გუნდი იქნება, ამის პირობას მე გაძლევთ, აი, ჩემპიონთა ლიგაში დაგვიშვებენ თუ არა... უეფას გამოუთვლია, რომ ხუთი გუნდის — „პანათინაიკოსის", „ლეგიას", „ოლბორგის", „გრასჰოპერის" და „ფერენცვაროშის" დაშვებას დაგეგმილზე გაცილებით ნაკლები შემოსავალი შემოუტანია, ამიტომ უეფა გაზაფხულზე გადახედავს ჩემპიონთა ლიგაში გუნდებს 32-მდე გაზრდის საკითხს. ჩვენ რამდენადაც ვიცი, 30-ე ადგილზე ვართ და გაზრდის შემთხვევაში...

— ქვეყნის პრეზიდენტის ცნობილი დადგენილების მერე ფეხბურთის მიღმაც გაიხედეთ და კალათბურთის „დინამო" აღორძინეთ. სპორტის სხვა სახეობებსაც ხომ არ მიხედავთ?

— სხვათა შორის, გვსურს წყალბურთსაც მივხედოთ და კიდევ ერთი „დინამო" ავაღორძინოთ...

# გვახსოვდეს, «დინამო» სხვა გუნდია!

ყველაზე უფრო კი ფიფას პრეზიდენტის, ჟოაო ავილანჟის ნახვამ გამაოცა. მეგონა ოთხმოცი წლის ბერიკაცს ვნახავდი, მაგრამ იერით, საქციელით და მიხვრა-მოხვრით 35-40 წლისას ჰგავდა. კენჭისყრამდე,დილით, აუზში არაერთი ასეული მეტრი დაფარა ცურვით. ჟაკ შირაკიც უნდა დასწრებოდა კენჭისყრას, მაგრამ სერბების მიერ დაკავებული 2 ფრანგი პილოტის გამოსახსნელად იყო წასული.

— ახლა ჩვენს საშინაო საქმეებს დავუბრუნდეთ. თქვენ, როგორც პრეზიდენტი, როგორ აფასებთ „დინამოს" გამოსვლას პირველ წრეში?

— დამაკმაყოფილებლად. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამდენი ახალგაზრდა ფეხბურთელის ძირითადში გამოყვანის შემდეგ გუნდმა ბოლოს მაინც იპოვა თავისი თამაში და წრეც პირველი ადგილით დაამთავრა.

— ჩვენი ბოლო შეხვედრისას განაცხადეთ, რომ ეგრეთწოდებული „საგანგებო მდგომარეობა" შემოიღეთ: ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ მიიღებდა პრემიას, თუ გუნდი დარჩენილ ექვს ტურში თუნდაც ერთ მატჩს დაასრულებდა ფრედ. „დინამომ" ხუთი თამაში მოიგო, „ბათუმთან" კი შინ ფრე — 1:1 ითამაშა.

— „ბათუმთან" პირველ ტაიმსლა ვუყურე და უცხოეთში წავედი, მეგონა, დიდი ანგარიშით მოვიგებთ-მეთქი, არადა, კინაღამ წაგვიგია. რაც შეეხება პრემიებს, ეს ამბავი მაინც ფეხბურთელთა საკეთილდღეოდ გადავწყვიტე, ყველამ მიიღო პრემია, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც გათვალისწინებული იყო ექვსივე თამაშის მოგების შემთხვევაში.

— ორიოდ დღეში კიევის საერთაშორისო მინი-ფეხბურთის კომერციულ ტურნირზე აპირებდით გამგზავრებას...

— კიევიდან შეგვატყობინეს, რომ ეს ტურნირი აღარ გაიმართება, ამიტომაც ჩვენი გეგმები ნაწილობრივ შეიცვალა – 18 დეკემბერს ვიკრიბებით და ვარჯიშებსაც თბილისში დავიწყებთ.

— ტრადიციული გერმანული საახალწლო მინი-ფეხბურთის ტურნირები?

— ამ ახალ წელს „დინამო" აღარ გაემგზავრება გერმანიაში. მზადების საიანერო ეტაპს ბულგარეთში, კვიპროსში ან თურქეთში გავივლით. სავარაუდო უფრო ისაა,რომ 7-8იანვარს ანთალიას გავემგზავრებით ორკვირიან შეკრებაზე.

— მოსკოვში, უკვე ტრადიციულ ესენგეს ჩემპიონთა თასზე თუ გამოხვალთ?

— წელს ეს ტურნირი უფრო საინტერესოდ გაიმართება, რადგან გუნდები ერთი ეტაპით მეტს ითამაშებენ — ჯგუფური ტურნირების შემდეგ ჯერ მეოთხედფინალი იქნება.

— ზემოთ ჩემპიონთა ლიგის გაფართოება ახსენეთ. განა იმ გუნდით, „ბოტევთან" რომ ორივე მატჩი წაგო, შეიძლება ჩემპიონთა ლიგაში თამაში?

— მართალი ბრძანდებით, არ შეიძლება და იმ გუნდით არც ვითამაშებთ, რაკიღა, როგორც ადრე გითხარით, რამდენიმე ფეხბურთელის ვიმატებთ. ინალიშვილმა უკვე მოაწერა ხელი ერთწლიან კონტრაქტს, გერმანიაში ყოფნისას ვნახე „ჰომბურგისა" და „ზალმრორის" მატჩი. „ჰომბურგმა" სწორედ ქართველთა კარგი თამაშის წყალობით სძლია გიორგი ლუდუშაურის გუნდს. გადამწყვეტი გოლი რეზო არველაძის პასით გავიდა. ასე რომ, არაა გამორიცხული კიდევ რამდენიმე ძველი დინამოელის ჩამოყვანა.

— გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან დავით ყიზილაშვილის „დინამოში" გამოჩენას...

— სხვათა შორის მეც ყიზილაშვილი იმ ფეხბურთელად მიმაჩნია, დღის რომ ყველაზე მეტად გააძლიერებს გუნდს. მე ალექსანდრე ჩივაძის აზრიც ვიცი ამ ფეხბურთელზე, ნაკრების მთავარ მწვრთნელსაც მისი იმედი აქვს. დღეს მისნაირი ფორვარდი საქართველოში სანთლით საძებარია. ამხელა შესავალი კი იმიტომ დამჭირდა, რომ ამ ცოტა ხნის წინ ყიფიანმა ყიზილაშვილის შესახებ მითხრა – გუნდს დათო აუცილებლად სჭირდებაო. ახლა ჯერი ჩემზეა და ეჭვიც არ მეპარება, შევძლებ ყველა ფორმალური საკითხის მოგვარებას და ყიზილაშვილის გადმობირებას. სხვათა შორის, დავით ყიფიანი და რომან შოთაძე სპეციალურად ამისთვის უკვე გაემგზავრნენ კვიპროსს და ამ დღეებში „ომონიასგან" ყველა შესაბამის ფორმალურ ქაღალდს მიიღებენ.

— ყიზილაშვილს ექვსი თვეა არ უთამაშია, ეს არ გაფიქრებთ?

— სრულიადაც არა, და აი რატომ: მეც არაერთხელ მინახავს და ჩემი კოლეგა-მეგობრებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ მაშინაც კი, როცა ეს ფეხბურთელი არცერთ გუნდში არ ირიცხებოდა, მაინც თავგამოდებით ვარჯიშობდა. მისი ვარჯიშების ხილვისას მივხვდი, რომ თუ დათომ ასე გააგრძელა...

— ბევრი მითქმა-მოთქმაა გოჩა ჯამარაულის თაობაზე. ზოგი ამბობს, რომ იგი გუნდშია, ზოგიც — წავიდაო...

— აქ ერთი პატარა შესავლით მინდა დავიწყო. „დინამოს" სახელი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მერაბ ჟორდანია, კლუბის დირექტორი ან კიდევ სხვა რამე.

მამუკა კვარაცხელია



# მომეცით თამაშის უფლება!

**— ითხოვს „სამტრედიის" ყოფილი მოთამაშე გია ჯიკაევი. ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი ძველ თანაგუნდელებთან, გია ჯიშკარიანთან, დათო ცომაიასთან და რომეო გოგიტაძესთან ერთად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა.**

**ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის დებულების თანახმად, მათ საქართველოს პირველი ჯგუფის გუნდებში გადასვლის უფლება წელს არ აქვთ. ისინი ამჟამადაც უგუნდოდ იმყოფებიან. თითოეული მათგანი სასურველი გუნდის ძიებაში, სათამაშო პრქტიკას მოკლებული, ინდივიდუალურად ვარჯიშობს. გია ჯიკაევსა და რომეო გოგიტაძეს „შევარდნის" ხელმძღვანელობა იწვევდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, დებულება მათ ამის საშუალებას არ აძლევს. ჯონი ჯანელიძე იმედს გამოთქვამდა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ამათი გადმოყვანის უფლებას დაგვრთავსო, მაგრამ, ჩანს, ეს იმედი ერთობ მცირეა. ბუნებრივია, დაგვაინტერესა ამ უგუნდო ფეხბურთელთა ბედმა და ერთ-ერთ მათგანს, გია ჯიკაევს დავუკავშირდით...**

— „შევარდენის" განაცხადში შენი შეყვანა სათუოა. ახლა რას აპირებ?

— რა უნდა ვქნა, არ ვიცი. გამოუვალ მდგომარეობაში ვარ. ფაქტიურად, მთელი სეზონი უნდა გამიცდეს სხვათა უგულობის გამო.

— სხვა რა შუაშია? ხომ იცოდი, რომ „სამტრედიის" განაცხადში შეყვანილი სხვაგან ვერ ითამაშებდი?

— თავისთავად, დებულება უნდა გაითვალისწინონ და ეს აუცილებელიც არის. მე არ ვამბობ, რომ დებულება წამდაუწუმ უნდა შეიცვალოს-მეთქი, მაგრამ ხომ შეიძლება გაითვალისწინონ, რომ მე ერთი წუთითაც არ მითამაშია „სამტრედიაში" და იქ დარჩენას არც ვაპირებდი. მიჭირდა, ფულს არ ვიღებდი, ყველამ იცის, რა ვითარებაა დღეს ჩვენს გარშემო, ვიფიქრე, „შევარდენში" გადავალ და ორ კაპიკს მაინც გავაკეთებ-მეთქი. ვიმეორებ, „სამტრედიიდან" პირველ თამაშამდე წამოვედი. მაშინ ტარიელ ჩაჩუას დაჟინებით ვთხოვე — ხურცილავას არ ვჭირდები, არ მათამაშებს, ჩემი დარჩენის აზრს ვერ ვპოულობ და უპირიანი იქნება, „შევარდენში" გამიშვა-მეთქი.

როდესაც „სამტრედიაში" მივდიოდი, ორ რამეზე ვფიქრობდი: ერთი ის, რომ სათამაშო პრქტიკა მექნებოდა, მეორე — ფინანსურადაც დაინტერესებული ვიყავი. მაგრამ, არც ერთში გამიმართლდა, არც მეორეში და „სამტრედიაში" რა დამრჩენოდა?

— ახლა „სამტრედიიდან" რამდენიმე მოთამაშე წასვლას აპირებს და ისევ ხომ არ მიგიწვევს?

— სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ახალ მწვრთნელს კახა ელაშვილს ვესაუბრე. მისი და ფეხბურთელების სურვილი ყოფილა ჩემი დაბრუნება. „შევარდენში" ვერ გადავდივარ, ხურცილავაც არ არის მწვრთნელი, წამოსულია, და ბუნებრივია, ამაზე თანახმა ვარ. ხან სად ვვარჯიშობ მარტო, ხან სად. ასე როდემდე გავაგრძელო? თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ფორმიდან ამოვვარდი. შეიძლება ადრინდელზე უკეთეს ფორმაშიც ვარ. ნორმატივებს ახლაც ჩავაბარებ, მაგრამ უაზროდ ხომ არ ვივარჯიშებ, ხელფასი ხომ საჭიროა?

— ცოტა უცნაურია, სათამაშო პრაქტიკის გარეშე ფორმაში როგორ ხარ?

— დაცვის ცენტრში ხშირად პერსონალურ მეურვედ მამწესებდნენ და, თუ ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ, ესე იგი, ფორმაშიც ვიქნები, ვიმეორებ, მე მინდა სამტრედიაში დაბრუნება, მაგრამ ყველაფერი ჩაჩუაზეა დამოკიდებული.

ისე, ერთსაც ვიტყვი — ჩემმა შემთხვევამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენთან ფეხბურთელის ბედი არავის აღელვებს. ხომ შეიძლება გაითვალისწინონ — ფეხბურთელები თამაშით შოულობენ საარსებო წყაროს. მე კი ეს წყარო არ გამაჩნია. ჯიშკარიანმა და ცომაიამ „სამტრედიიდან" წამოსვლისას თქვენს გაზეთში სწორად შენიშნეს მოთამაშეთა პროფკავშირების დაარსების საჭიროებაზე. თუ ამ საქმეს არ მოევლო, კიდევ ბევრი ფეხბურთელი ჩავარდება ჩემს მდგომარეობაში, რასაც არავის ვუსურვებ.

ლევან ხოსრუაშვილი

## არსენალი 1:1 ჩელსი

38 295 მაყურებელი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ბულდი, ადამსი, ვინტერბერნი, მერსონი, კიოუნი, პლატი, პართსონი, რაიტი, იენსენი (ჰელდერი 45)

ჩელსი: ხარინი, პეტრესკუ, ბარლი, ლი, ფილანი (კლარკი 45), მაიერსი, ნიუტონი, ვაიზი, დაბერი, სპენსერი (ფარლონგი 88), ჰიუზი

გოლი: სპენსერი (25), დიქსონი (88)

გაფრთხილება: ბულდი, ადამსი, პეტრესკუ, ჰიუზი

გაძევება: ბულდი (78)

## ასტონ ვილა 4:1 ქოვენთრი

28 486 მაყურებელი

ასტონ ვილა: ბოსნიჩი (სფინკი 46), ჩარლზი, რაიტი, საუთგეიტი, მაკგრათი (შიმეცა 68), ეჰიოგი, ტეილორი, დრაპერი, მილოშევიჩი, ჯონსონი, იორკი (თაუნსენდი 35)

ქოვენთრი: ფილანი, შოუ, ბასტი, ვილიამსი, ჰოლი, რიჩარდსონი, ტელფერი, ვილანი, ნდლოვუ (პიკერინგი 68), დაბლინი, სალაკო (რენი 73)

გოლი: ჯონსონი (12), მილოშევიჩი (48, 63, 80), დაბლინი (54)

გაფრთხილება: ბასტი, რიჩარდსონი

გაძევება: რიჩარდსონი (38)

## ბლექბერნი 1:0 მიდლსბრო

27 996 მაყურებელი

ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო (ფენტონი 54), რიპლი (კოულმენი 46), შირერი, ნიუელი, ბერდი, ბოჰინენი, ბეთი

მიდლსბრო: უოლში, კოქსი, ვიკერსი, პირსონი, ლაითი, ბარმბი, ფიორტოფტი (ჰენდრი 60), სტამპი, ლიდლი, ჟუნინიო, ფლემინგი

გოლი: შირერი (42)

გაფრთხილება: შერვუდი, ჰენდრი, ვაითი, ბარმბი

გაძევება: ვაითი (89)

## ნიუკასლი 1:0 ევერტონი

36 557 მაყურებელი

ნიუკასლი: სერნაჩეკი, ბარტონი, ბერესფორდი, პიკოკი, ჰაუი, ლი, ფერდინანდი, კლარკი, ჟინოლა, გილესპი (ალბერი 39), ბერდსლი

ევერტონი: საუთჰოლი, ანსვორსი, ვოთსონი, სტიუარტი, ლიმპარი, ამოკაში, ებროლი, ჯექსონი (ფერგიუსონი 56), კანჩელსკისი, პარკინსონი (ჰორნი 46), შორტი

გოლი: ფერდინანდი (17)

გაფრთხილება: პარკინსონი, ჰორნი

გაძევება: ბერესფორდი (33)

## ქუინზ პარკი 2:1 ბოლტონი

11 456 მაყურებელი

ქუინზ პარკი: სომერი, ბარდსლი, ჩელიზი (რიდი 81), მაკდონალდი, იეითსი, იმფი, ბარკერი, ჰოლოვეი, პეიტლი, ოზბორნი (გალენი 67), სინკლერი

ბოლტონი: ბრენაჰანი, გრინი, ფილიპსი, ფეირკლაფი, ბერგსონი, ტაგარტი, ჩურჩიჩი, ტოდი (მაკანესპი 84), სელარსი, დე ფრეიტაში, მაკგინლი

გოლი: ოზბორნი (41), სელარსი (44), იმფი (75)

გაფრთხილება: მაკდონალდი, პეიტლი, ფეირკლაფი, დე ფრეიტაში

გაძევება: ბერგსონი (76)

## შეფილდი 6:2 ლიდსი

24 573 მაყურებელი

შეფილდი: პრესმენი, ათერტონი, ნოლანი, ნიკოლი, ვოდლი, ჰირსთი, ბრაითი, დეგრიზი, უოლქერი, ვითინგემი (ჰაიდი 46), ბრისკოუ

ლიდსი: ლუკიჩი, კელი (ვოლესი 46), დორიგო, პალმერი, ვეზეროლი, მაკალისტერი, სპიდი, ჯონსონი, ბროლინი, იებოა (დინი 65), ქუზენსი

გოლი: დეგრიზი (5,25), ვითინგემი (18), ბროლინი (28), ბაითი (67), ჰირსთი (72, 86), ვოლესი (84)

## ვესტ ჰემი 2:1 საუთჰემპტონი

18 501 მაყურებელი

ვესტ ჰემი: მიკლოშკო, მარტინი (ბრიკერი 56), დიკსი, პოტსი, რეიპერი, ბიშოფი, მონკერი (სლეიტერი 64), ვილიამსონი, კოტი, დაუი, ჰიუზი

საუთჰემპტონი: ბისანტი, დოდი, ბენალი, მეჯილტონი (მედისონი 70), ჰოლი, მონკუ, ლე ტისიე, ვენისონი, შიპერლი, ოკლი (ჰიუზი 70), ჩარლტონი

გოლი: ბიშოპი (22, საკ. კარში), კოტი (80), დაუი (83)

გაფრთხილება: მონკერი, დაუი, ბრიკერი, ჰოლი, მონკუ, ვენისონი

## უიმბლდონი 0:1 ტოტენჰემი

16 193 მაყურებელი

უიმბლდონი: ჰელდი, კანინგემი, კიმბლი, ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ, ჰოლდსვორთი, გუდმენი (ჯოუნზი 85), რივსი, ჰარფორდი (გეილი 73), ჰენი

ტოტენჰემი: უოქერი, ჰაუელზი, კალდერვუდი, მებოთი, ფოქსი, შერინგემი, არმსტრონგი, დოზელი (ედინბურგი 55), ვილსონი, როზენტალი, კემპბელი (სლეიდი 85)

გოლი: ფოქსი (85)

გაფრთხილება: ლეონარდსენი, ერლი, ჰარფორდი

## ლივერპული 2:0 მანჩესტ. იუნ.

40 546 მაყურებელი

ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნზი, მაკეიტირი, რაიტი, კოლიმორი, ბარნსი, სქეილზი, თომასი, მაკმანამანი, ჰარკნესი, ფაულერი

მანჩესტერ იუნ: შმაიხელი, ირვინი, ბრიუსი, შარპი, კანტონა, მაკლეირი, გიგზი, მეი, ქოული (სქოულზი - 52), გ. ნევილი, ბექემი

გოლი: ფაულერი (45, 87)

# ინგლისი

ინგლისის ჩემპიონატის მიმართ ქართველებს ინტერესი გაგვიორკეცდა. ჯერ გიორგი ქინქლაძის გამო ხომ პრემიერლიგის ყოველ ტურს მოუთმენლად ველოდით და, ახლა ამას ისიც დაერთო, რომ ამასწინანდელმა პარიზულმა კენჭისყრამ ჩვენს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ერთ-ერთ მეტოქედ ინგლისი არგუნა. ამიტომაცა, როგორც ხედავთ, ამ ქვეყნის პირველობის მე-18 ტურის მიმოხილვას უფრო სრულყოფილად, თავის შემადგენლობით და მთავარი თამაშების მიმოხილვით გთავაზობთ. მომავალშიც ასე და უკეთესად გაგრძელებას გპირდებით, თუ, რა თქმა უნდა, შესაბამისმა უწყებებმა ტოტალური უშუქობით, უტელეფონ-ფაქს-ტელექს-კომპიუტერობით, უწყლობით, უბენზინობით, უჰაერობით და გამყინვარებით არ დაგვამარცხეს.

სამწუხაროდ, დღეს ქინქლაძის „მანჩესტერ სიტიზე" ვერაფერს გეტყვით, რადგან მისი და „ნოტინგემ ფორესტის" შეხვედრა წუხელ ჩვენი დროით ძალზე გვიან გაიმართა, თუმცა მომდევნო „სარბიელს" ნუ გამოსტოვებთ, ყველაფერი იქ იქნება.

რაც შეეხება ტურის ცენტრალურ მატჩს „ლივერპულსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის, იგი ფაულერის ორი გოლის წყალობით მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა. ლივერპულელმა ორივეჯერ ტაიმის მიწურულს გაიტანა, პირველად 45-ე წუთზე, მეორედ კი 87-ზე. გამარჯვებამ, ინგლისელი მიმომხილველების აზრით, „ლივერპულს" საკუთარი თავის რწმენა უნდა შემატოს. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს", ჯერ ერთი, მან ამ მარცხით ლიდერი, „ნიუკასლი" შვიდი ქულით გაუშვა წინ, მეორეც, ულიმღამო თამაშით ქომაგები შეაშფოთა. მატჩის შემდეგ წაგებულთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა თქვა, ასე ცუდად ძალიან დიდი ხანია არ გვითამაშიაო: „სირთულეებს საკუთარ თავს ყოველთვის თავად ვუქმნიდით. ახლაც იგივე ხდება. ასე მიცვალებულებივით რამდენიმე წელია არ გვითამაშია. ამგვარი თამაშისთვის საჭირო ჟინი ვერ გამოვავლინეთ." ფერგიუსონმა 52-ე წუთზე ენდი კოულიც კი შეცვალა, რადგან შეატყო, რომ იგი თამაშიდან ამოვარდნილი, ულოგიკოდ დარბოდა მოედანზე. „ლივერპული" კი გონივრულად და საოცარი შემართებით მოქმედებდა. „ენფილდ როუდზე", სადაც წინა ოთხშაბათს ჰოლანდიის ნაკრებმა ირლანდიას მოუგო, იმ დღისგან განსხვავებით რაღაც გლადიატორული ვნება ტრიალებდა. ტრიბუნაზე საშინელი ღრიანცელი ატეხილიყო და მოედანზეც ამოუსუნთქავად დარბოდნენ. ერთადერთი, რამაც „იუნაიტედი" განადგურებისგან გადაარჩინა, მათი მეკარის დანიელი პეტერ შმაიხელის გასაოცარი თამაში იყო. შმაიხელმა ისეთი ბურთები მოიგერია, საკუთარი მცველების გინებას მატჩის შემდეგ ნაღდად აღარავინ უსაყვედურებდა. გახელებული ტრიბუნების ღრიალი, რომელმაც ერიკ კანტონაზეც კი იმოქმედა, მას ჩირადაც არ ულირდა. ხუთჯერ (!) შეუშვეს მანჩესტერის გუნდის მცველებმა სტენ კოლიმორი მასთან პირისპირ და ხუთჯერვე მეკარემ ბოლო წამს ისე გაშალა ხელ-ფეხი, რომ ლივერპულელთა ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. თამაშის მერე მიმომხილველები ამბობდნენ, ემანდ კოლიმორს მასავით ძვირადღირებული იმდღევანდელი მეტოქის ენდი კოულის ბედი არ ეწიოსო. კოული კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იმ დღეს ფერგიუსონმა საერთოდ გაიყვანა მოედნიდან. მაგრამ კოლიმორზე მთლად ასე აგდებით საუბარი ჯერ მაინც ნაადრევია. ამ მოუსვენარ ფეხბურთელს „მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშში, უბრალოდ, არ გაუმართლა. ზემოთხსენებული ხუთჯერ პირისპირ შესვლის გარდა, იგი 57-ე წუთზე სტივ ბრუსმა საჯარიმოში წააქცია, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, ამ ამბიდან შვიდ წუთში კი იმავე ბრუსს გასცდა და მარჯვენა ფეხით ყუმბარისებურად დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. ამ დროს ენდი კოული, რომელსაც კოლიმორი შეადარეს, მწვრთნელს უკვე მაყურებლად ექცია. ფაულერმა კი ამავე დროს კარგად უწყოდა, რომ თავდამსხმელი ხასიათზე, ბედზე და, ასე განსაჯეთ, პოპულარობის ხარისხზეც დიდადაა დამოკიდებული. მას ექვსი თამაშია გოლი არ გაეტანა და აი, 45-ე წუთზე, როდესაც მის თანაგუნდელებს სტივ მაკმანამანს, მაიკლ თომასს და ჯონ ბარნსს უკვე ხელი მოსცარვოდათ და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ გუნდები შესვენებაზე უგოლოდ წავიდოდნენ, ფაულერმა ჯარიმის დარტყმა ითავა. მისი დიდებულად დარტყმული ცოცხალ კედელს შემოევლო და შმაიხელისგან მარჯვენა ცხრიანში შეფრინდა.

მეორე ტაიმში, კოულის გაყვანის შემდეგ წინ რაიან გიგზმა წაიწია, მაგრამ რად გინდა, „იუნაიტედს" იმ დღეს შეტევის ხეირიანად განვითარება არ ეწერა, ის კი არა, მადლობა თქვას, რომ დიდი ანგარიშით არ წააგო. საოცარია, რატომ არ გავიდა მეორე გოლი 87-ე წუთამდე. გოლი კი ასე გავიდა: თომასმა ბურთი დაცვიდან წაიღო, მოედნის ცენტრიდან გზა მაკმანამანმა განაგრძო, ფაულერმა კი საჯარიმოში ბექემი ჩამოიცილა და ანგარიში გაზარდა.

ლონდონური დერბი „არსენალი" — „ჩელსი" კი ფრედ 1:1 დამთავრდა. არადა, ლამის „ჩელსიმ" მოიგო. რომ მოეგო, „ჰაიბერიზე" ბოლო 21 წელში მეორედ გაიმარჯვებდა. თითქოს ამას წინ არაფერი უნდა დადგომოდა, თამაშის დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა და თან „არსენალი", მას მერე, რაც 78-ე წუთზე მოედნიდან სტივ ბულდი გაუძევეს, ათი კაცით აგრძელებდა შეხვედრას, მაგრამ ლი დიქსონმა გაქვითა.

თავიდან პოლ მერსონმა შეაზანზარა ძელი, ჩამოვარდნილ ბურთს მოედანზე ახალშესულმა ჰოლანდიელმა გლენ ჰელდერმა დაამატა, მაგრამ ხარინმა კუთხურზე მოიგერია. ამ კუთხურიდან ჩაწოდებული კი ლი დიქსონმა კარში შეაგდო.

მატჩის შემდეგ „ჩელსის" მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა თქვა, რომ მისი გუნდისთვის თითქოს აღარაფერს უნდა შეეშალა მოგებაში ხელი, მითუმეტეს, რომ მეტოქეს ერთი მოთამაშე დააკლეს, მაგრამ ბოლო წუთებში სიმტკიცე აღარ ეყოთ — „ჩვენს თამაშს მეორე გოლი დააკლდა. რომ გაგვეტანა, მოწინააღმდეგე მოკვდებოდა კიდეც."

ჰოდლმა ამ დღეს იმავე ტაქტიკით ითამაშა, ადრე მანჩესტერში „ოლდ ტრაფორდზე" „იუნაიტედთან" ფრე რომ ითამაშა: დაცვაში ხუთი კაცი, ნახევარდაცვაში სამი, პლუს სპენსერი, რომელიც წინ მარტო დატოვებულ მარკ ჰიუზს ეხმარება. ასე თამაში ამართლებს და აკი 25-ე წუთზე „არსენალს" გაუტანეს კიდეც გოლი. ამ გოლის გატანაში გადამწყვეტი როლი ტერი ფილანმა ითამაშა — ფილანი, ისევე, როგორც მისი მეორე ფლანგელი კოლეგა-მცველი დან პეტრესკუ, ჰოდლის ტაქტიკაში უმნიშვნელოვანესი ფიგურები არიან — მან კრეიგ ბარლის გრძელი პასით ჩაწოდებული სპენსერს დაუბრუნა, ამან კი ბურთი ბადეში შეაგდო. საერთოდ, „არსენალი" ბურთს უფრო ხშირად და დიდხანს ფლობდა, მაგრამ ამით ბევრს ვერაფერს ხეირობდა. მართალია, მომენტები აქა-იქ იქმნებოდა, მაგრამ, როგორც უკვე იცით, ანგარიში 88-ე წუთზე გაიქვითა.

ცხადია, მკითხველს პრემიერლიგის ბომბარდირთა ჩამონათვალიც დააინტერესებს. საერთოდ, ინგლისელები ბომბარდირებს უკლებლივ ყველა ჯურის მატჩში გატანილ გოლებსაც უთვლიან, მაგრამ ჩვენ ჩემპიონატის საუკეთესო გოლისგამტანებით შემოვიფარგლოთ: ფერდინანდი (ნიუკასლი) — 18, შირერი (ბლექბერნი) — 17, ფაულერი (ლივერპული) — 13, შერინგემი (ტოტენჰემი) — 11, დაბლინი (ქოვენთრი) — 11, იებოა (ლიდსი) — 9, მილოშევიჩი (ასტონ ვილა) — 8, 7-7 და ნაკლები კი ბევრ ფეხბურთელს აქვს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 18 | 13 | 3 | 2 | 37:15 | 42 |
| მანჩესტერ იუნ. | 18 | 10 | 5 | 3 | 35:19 | 35 |
| ტოტენჰემი | 18 | 9 | 6 | 3 | 24:17 | 33 |
| ასტონ ვილა | 18 | 9 | 5 | 4 | 25:14 | 32 |
| ლივერპული | 18 | 9 | 4 | 5 | 31:15 | 31 |
| არსენალი | 18 | 8 | 7 | 3 | 23:12 | 31 |
| მიდლსბრო | 18 | 8 | 6 | 4 | 19:12 | 30 |
| ნოტინგემი | 16 | 6 | 9 | 1 | 26:23 | 27 |
| ლიდსი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:24 | 25 |
| ჩელსი | 18 | 6 | 7 | 5 | 17:19 | 25 |
| ბლექბერნი | 18 | 7 | 3 | 8 | 28:24 | 24 |
| ევერტონი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:20 | 23 |
| ვესტ ჰემი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:24 | 23 |
| შეფილდი | 18 | 5 | 6 | 7 | 26:27 | 21 |
| საუთჰემპტონი | 18 | 4 | 5 | 9 | 17:28 | 17 |
| ქუინზ პარკი | 18 | 4 | 3 | 11 | 14:26 | 15 |
| მანჩესტერ სიტი | 17 | 4 | 3 | 10 | 9:26 | 15 |
| უიმბლდონი | 18 | 3 | 5 | 10 | 23:38 | 14 |
| ქოვენთრი | 18 | 2 | 6 | 10 | 23:40 | 12 |
| ბოლტონი | 18 | 2 | 3 | 13 | 16:34 | 9 |

## შვეიცარია

22-ე ტური. გრასჰოპერი — ბაზელი 1:3; იანგ ბოიზი — ციურიხი 2:0; ლუცერნი — სიონი 3:2; ლოზანა — ქსამაქსი 1:1; ლუგანო — სერვეტი 0:2; სენტ გალენი — არაუ 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 22 | 13 | 4 | 5 | 38:22 | 43 |
| სიონი | 22 | 13 | 3 | 6 | 37:28 | 42 |
| ქსამაქსი | 22 | 12 | 5 | 5 | 40:24 | 41 |
| ლუცერნი | 22 | 11 | 7 | 4 | 36:25 | 40 |
| ბაზელი | 22 | 9 | 3 | 10 | 23:29 | 30 |
| სერვეტი | 22 | 7 | 7 | 8 | 28:28 | 28 |
| არაუ | 22 | 7 | 6 | 9 | 36:27 | 27 |
| სენტ გალენი | 22 | 6 | 9 | 7 | 26:24 | 27 |
| ლოზანა | 22 | 6 | 9 | 7 | 25:25 | 27 |
| ლუგანო | 22 | 5 | 6 | 11 | 21:42 | 21 |
| ციურიხი | 22 | 4 | 6 | 12 | 17:32 | 18 |
| იანგ ბოიზი | 22 | 4 | 5 | 13 | 14:35 | 17 |

## იტალია

მე-14 ტური. უდინეზე — პადოვა 3:1; მილანი — ტორინო 1:1; ატალანტა — ფიორენტინა 1:3; ბარი — პარმა 1:1; ვიჩენცა — კალიარი 0:1; ნაპოლი — რომა 0:2; ლაციო — სამპდორია 6:3; პიაჩენცა — კრემონეზე 2:1; იუვენტუსი — ინტერი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 14 | 8 | 5 | 1 | 21:10 | 29 |
| ფიორენტინა | 14 | 9 | 1 | 4 | 24:14 | 28 |
| პარმა | 14 | 7 | 6 | 1 | 21:13 | 27 |
| იუვენტუსი | 14 | 7 | 3 | 4 | 22:13 | 24 |
| ლაციო | 14 | 6 | 4 | 4 | 25:16 | 22 |
| ატალანტა | 14 | 6 | 4 | 4 | 18:18 | 22 |
| რომა | 14 | 5 | 6 | 3 | 16:11 | 21 |
| სამპდორია | 14 | 5 | 5 | 4 | 22:19 | 20 |
| კალიარი | 14 | 6 | 2 | 6 | 13:15 | 20 |
| ნაპოლი | 14 | 4 | 7 | 3 | 12:12 | 19 |
| უდინეზე | 14 | 5 | 4 | 5 | 15:16 | 19 |
| ინტერი | 14 | 4 | 6 | 4 | 15:11 | 18 |
| ვიჩენცა | 14 | 4 | 5 | 5 | 12:13 | 17 |
| პიაჩენცა | 14 | 4 | 3 | 7 | 16:28 | 15 |
| ტორინო | 14 | 3 | 5 | 6 | 13:22 | 14 |
| კრემონეზე | 14 | 2 | 3 | 9 | 17:23 | 9 |
| ბარი | 14 | 2 | 3 | 9 | 18:34 | 9 |
| პადოვა | 14 | 2 | 2 | 10 | 13:25 | 8 |

### სერია B

ტური. რეჯანა — ფ. ანდრია 0:0; პისტოიეზე — სალერნიტანა 1:1; კოზენცა — ბრეშია 3:2; პერუჯა — აველინო 2:1; ჯენოა — ანკონა 2:1; ჩეზენა — ფოჯა 1:0; პესკარა — რეჯინა 2:0; კიევო — ვენეცია 0:0; ლუკეზე — ბოლონია 2:1; პალერმო — ვერონა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 16 | 8 | 4 | 4 | 30:20 | 28 |
| პესკარა | 16 | 8 | 3 | 5 | 22:22 | 27 |
| ვერონა | 16 | 7 | 4 | 5 | 18:14 | 25 |
| რეჯანა | 16 | 6 | 6 | 4 | 16:16 | 24 |
| პალერმო | 16 | 5 | 9 | 2 | 13:13 | 24 |
| ჩეზენა | 16 | 6 | 5 | 5 | 24:17 | 23 |
| სალერნიტანა | 16 | 6 | 5 | 5 | 16:11 | 23 |
| ბოლონია | 16 | 5 | 8 | 3 | 13:10 | 23 |
| ბრეშია | 16 | 6 | 4 | 6 | 24:18 | 22 |
| პერუჯა | 16 | 5 | 7 | 4 | 19:16 | 22 |
| კოზენცა | 16 | 4 | 9 | 3 | 16:16 | 21 |
| ანკონა | 16 | 6 | 2 | 8 | 22:21 | 20 |
| ლუკეზე | 16 | 4 | 7 | 5 | 13:18 | 19 |
| რეჯინა | 16 | 4 | 7 | 5 | 14:21 | 19 |
| ფოჯა | 16 | 4 | 6 | 6 | 13:16 | 18 |
| აველინო | 16 | 5 | 3 | 8 | 17:23 | 18 |
| ფ. ანდრია | 16 | 3 | 8 | 5 | 14:18 | 17 |
| ვენეცია | 16 | 3 | 8 | 5 | 10:16 | 17 |
| კიევო | 16 | 2 | 9 | 5 | 12:15 | 15 |
| პისტოიეზე | 16 | 3 | 6 | 7 | 16:21 | 15 |

## ესპანეთი

მე-17 ტური. ბარსელონა — ხიხონი 1:0; ბეტისი — სევილია 1:1; სალამანკა — სოსიედადი 3:3; კომპოსტელა — სანტანდერი 2:0; ოვიედო — ესპანიოლი 1:2; რეალი — სელტა 1:0; რაიო ვალეკანო — დეპორტივო 0:6; სარაგოსა — ვალიადოლიდი 5:3; ატლეტიკი — მერიდა 1:1; ტენერიფე — ალბასეტე 1:3; ვალენსია — ატლეტიკო 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 17 | 12 | 3 | 2 | 29:7 | 39 |
| ესპანიოლი | 17 | 11 | 4 | 2 | 26:10 | 37 |
| ბარსელონა | 17 | 10 | 5 | 2 | 37:15 | 35 |
| კომპოსტელა | 17 | 10 | 3 | 4 | 25:18 | 33 |
| ბეტისი | 17 | 7 | 8 | 2 | 27:19 | 29 |
| რეალი | 17 | 8 | 4 | 5 | 29:21 | 28 |
| ვალენსია | 17 | 8 | 3 | 6 | 27:23 | 27 |
| დეპორტივო | 17 | 7 | 3 | 7 | 28:17 | 24 |
| ატლეტიკი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:21 | 23 |
| ტენერიფე | 17 | 5 | 8 | 4 | 26:30 | 23 |
| სარაგოსა | 17 | 6 | 4 | 7 | 16:22 | 22 |
| ხიხონი | 17 | 6 | 2 | 9 | 22:21 | 20 |
| ოვიედო | 17 | 5 | 5 | 7 | 19:26 | 20 |
| სოსიედადი | 17 | 5 | 4 | 8 | 21:28 | 19 |
| სევილია | 17 | 4 | 7 | 6 | 18:26 | 19 |
| სალამანკა | 17 | 4 | 6 | 7 | 23:26 | 18 |
| სელტა | 17 | 4 | 6 | 7 | 16:21 | 18 |
| სანტანდერი | 17 | 4 | 5 | 8 | 15:29 | 17 |
| მერიდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:21 | 16 |
| ალბასეტე | 17 | 4 | 4 | 9 | 21:31 | 16 |
| რაიო ვალეკანო | 17 | 4 | 2 | 11 | 15:32 | 14 |
| ვალიადოლიდი | 17 | 2 | 6 | 9 | 18:27 | 12 |

## საფრანგეთი

22-ე ტური. ლანსი — ოსერი 0:0; ნანტი — ბორდო 2:0; გინგამი — ლილი 0:1; მონაკო — ბასტია 0:0; სენტ ეტიენი — პსჟ 1:1; გენიონი — ნიცა 1:0; კანი — მარტიგი 2:1; ლე ავრი — რენი 0:0; სტრასბური — ლიონი 2:2. მონპელიე — მეცი გადაიდო და 3 იანვარს გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 22 | 13 | 7 | 2 | 44:17 | 46 |
| ლანსი | 22 | 10 | 10 | 2 | 26:14 | 40 |
| ოსერი | 22 | 11 | 3 | 8 | 38:23 | 36 |
| ნანტი | 22 | 9 | 9 | 4 | 26:22 | 36 |
| მეცი | 21 | 9 | 8 | 4 | 18:13 | 35 |
| ბასტია | 22 | 10 | 4 | 8 | 33:29 | 34 |
| მონაკო | 22 | 9 | 6 | 7 | 31:27 | 33 |
| გინგამი | 22 | 8 | 9 | 5 | 17:15 | 33 |
| სტრასბური | 22 | 8 | 8 | 6 | 31:22 | 32 |
| მონპელიე | 21 | 8 | 7 | 6 | 29:26 | 31 |
| რენი | 22 | 8 | 7 | 7 | 25:26 | 31 |
| ნიცა | 22 | 8 | 4 | 10 | 25:26 | 28 |
| ლე ავრი | 22 | 7 | 6 | 9 | 19:28 | 27 |
| ლიონი | 22 | 5 | 10 | 7 | 23:26 | 25 |
| სენტ ეტიენი | 22 | 5 | 9 | 8 | 27:35 | 24 |
| ბორდო | 22 | 6 | 4 | 12 | 22:32 | 22 |
| კანი | 22 | 5 | 5 | 12 | 24:36 | 20 |
| ლილი | 22 | 4 | 8 | 10 | 16:29 | 20 |
| მარტიგი | 22 | 5 | 3 | 14 | 18:32 | 18 |
| გენიონი | 22 | 3 | 9 | 10 | 14:28 | 18 |

## პორტუგალია

მე-14 ტური. ფარენსე — ბენფიკა 1:3; სპორტინგი — ფელგეირაში 4:0; ბოავიშტა — სალგეირუში 1:1; პორტუ — ტირსენსე 5:0; კამპომაიორენსე — ლეირია 4:2; ლეცა — გიმარაეში 1:0; ჟილ ვისენტე — ბელენენსეში 0:0; შავეში — ამადორა 0:0; ბრაგა — მარიტიმუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 14 | 12 | 2 | 0 | 37:2 | 38 |
| სპორტინგი | 14 | 10 | 3 | 1 | 33:9 | 33 |
| ბენფიკა | 14 | 9 | 3 | 2 | 20:11 | 30 |
| ბოავიშტა | 14 | 8 | 3 | 3 | 26:11 | 27 |
| მარიტიმუ | 14 | 7 | 2 | 5 | 22:17 | 23 |
| გიმარაეში | 14 | 6 | 3 | 5 | 17:15 | 21 |
| ფელგეირაში | 14 | 5 | 5 | 4 | 17:15 | 20 |
| ბელენენსეში | 14 | 5 | 4 | 5 | 14:13 | 19 |
| სალგეირუში | 14 | 3 | 9 | 2 | 16:16 | 18 |
| ბრაგა | 14 | 5 | 3 | 6 | 14:20 | 18 |
| ლეირია | 14 | 5 | 1 | 8 | 17:29 | 16 |
| ლეცა | 14 | 4 | 3 | 7 | 13:20 | 15 |
| ამადორა | 14 | 3 | 5 | 6 | 14:20 | 14 |
| ჟილ ვისენტე | 14 | 3 | 4 | 7 | 11:19 | 13 |
| შავეში | 14 | 2 | 5 | 7 | 17:23 | 11 |
| ფარენსე | 14 | 3 | 2 | 9 | 10:21 | 11 |
| კამპომაიორ. | 14 | 3 | 1 | 10 | 11:33 | 10 |
| ტირსენსე | 14 | 1 | 6 | 7 | 9:24 | 9 |

## შოტლანდია

მე-17 ტური. აბერდინი — მოზერველი 1:0; ჰიბერნიანი — სელტიკი 0:4; კილმარნოკი — ფალკირკი 4:0; რეის როვერსი — ჰარტსი 1:1; რეინჯერსი — პარტიკ თისლი 1:0

გამოტოვებული მატჩი. აბერდინი — კილმარნოკი 4:1

მე-18 ტური. აბერდინი — ჰარტსი 1:2; სელტიკი — ფალკირკი 1:0; ჰიბერნიანი — რეის როვერსი 1:2; კილმარნოკი — პარტიკ თისლი 2:1, მოზერველი — რეინჯერსი წუხელ ჩატარდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 17 | 13 | 3 | 1 | 37:10 | 42 |
| სელტიკი | 18 | 12 | 5 | 1 | 35:15 | 41 |
| ჰიბერნიანი | 18 | 8 | 4 | 6 | 28:27 | 28 |
| აბერდინი | 18 | 8 | 2 | 8 | 28:22 | 26 |
| რეის როვერსი | 18 | 7 | 4 | 7 | 22:25 | 25 |
| ჰარტსი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:32 | 22 |
| კილმარნოკი | 18 | 5 | 3 | 10 | 23:30 | 18 |
| მოზერველი | 17 | 3 | 8 | 6 | 14:19 | 17 |
| ფალკირკი | 18 | 4 | 3 | 11 | 14:28 | 15 |
| პარტიკ თისლი | 18 | 3 | 4 | 11 | 12:30 | 13 |

## ბელგია

მე-19 ტური. შარლერუა — ანდერლეხტი 1:3; სტანდარდი — გენტი 1:1; ლიერსი — ანტვერპენი 1:2; სენტ ტრიუდენი — ბრიუგე 2:4; მოლენბეკი — ჰარელბეკი 3:1; აალსტი — ბევერენი 5:1; სერკლ ბრიუგე — ლომელი 0:1; ეკერენი — მეხელენი 1:0; ვარეგემი — სერენი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 19 | 12 | 5 | 2 | 43:16 | 41 |
| ანდერლეხტი | 19 | 12 | 3 | 4 | 43:20 | 39 |
| ლიერსი | 19 | 10 | 6 | 3 | 35:23 | 36 |
| მოლენბეკი | 19 | 8 | 7 | 4 | 22:17 | 31 |
| შარლერუა | 19 | 7 | 7 | 5 | 35:36 | 28 |
| სერკლ ბრიუგე | 19 | 6 | 9 | 4 | 24:25 | 27 |
| სტანდარდი | 19 | 6 | 8 | 5 | 26:21 | 26 |
| აალსტი | 19 | 7 | 5 | 7 | 29:28 | 26 |
| მეხელენი | 19 | 7 | 5 | 7 | 23:28 | 26 |
| ეკერენი | 19 | 6 | 7 | 6 | 29:23 | 25 |
| ანტვერპენი | 19 | 7 | 3 | 9 | 27:28 | 24 |
| ჰარელბეკი | 19 | 7 | 2 | 10 | 23:27 | 23 |
| გენტი | 19 | 5 | 7 | 7 | 21:26 | 22 |
| ლომელი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:29 | 22 |
| სენტ ტრიუდენი | 19 | 5 | 5 | 9 | 24:35 | 20 |
| ბევერენი | 19 | 4 | 6 | 9 | 19:29 | 18 |
| სერენი | 19 | 4 | 4 | 11 | 24:38 | 16 |
| ვარეგემი | 19 | 3 | 5 | 11 | 16:36 | 14 |

## ჰოლანდია

მე-17 ტური. ჰერენვეენი — ფეიენოორდი 0:1; ფორტუნა — ვალვაიკი 0:0; ნაიმეგენი — ვილემ II 1:1; ვიტესი — ვოლენდამი 2:1; სპარტა — გრონინგენი 1:1; უტრეხტი — ტვენტე 0:3;

მე-18 ტური. ვილემ II — სპარტა 1:1; ბრედა — ვალვაიკი 0:1; გოუ ეჰედი — გრონინგენი 0:0; პსვ — ფორტუნა 3:0; ჰერენვეენი — როდა 3:2; ნაიმეგენი — გრააფსხაპი 1:1; ფეიენოორდი — ვიტესი 2:0; ვოლენდამი — ტვენტე 1:2; აიაქსი — უტრეხტი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 16 | 15 | 1 | 0 | 58:5 | 46 |
| პსვ | 17 | 13 | 2 | 2 | 56:11 | 41 |
| ვილემ II | 17 | 7 | 8 | 2 | 37:20 | 29 |
| ჰერენვეენი | 18 | 7 | 8 | 3 | 29:27 | 29 |
| სპარტა | 18 | 8 | 5 | 5 | 26:27 | 29 |
| ფეიენოორდი | 17 | 8 | 4 | 5 | 37:26 | 28 |
| ტვენტე | 18 | 7 | 5 | 6 | 26:28 | 26 |
| როდა | 17 | 6 | 7 | 4 | 20:20 | 25 |
| ვალვაიკი | 18 | 7 | 4 | 7 | 21:24 | 25 |
| ბრედა | 16 | 6 | 6 | 4 | 26:14 | 24 |
| გრონინგენი | 18 | 6 | 6 | 6 | 25:30 | 24 |
| ვიტესი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:31 | 23 |
| ფორტუნა | 18 | 4 | 5 | 9 | 14:34 | 17 |
| ვოლენდამი | 18 | 3 | 5 | 10 | 16:37 | 14 |
| ნაიმეგენი | 18 | 3 | 5 | 10 | 17:43 | 14 |
| გრააფსხაპი | 17 | 2 | 5 | 10 | 18:39 | 11 |
| უტრეხტი | 18 | 2 | 5 | 11 | 14:37 | 11 |
| გოუ ეჰედი | 17 | 1 | 6 | 10 | 20:34 | 9 |

# არ უდგებაო „ბოკაში“ გული...

დიდი ხანია, მარადონას ვინმესთან კონფლიქტის ან რაიმე ახალი სკანდალის შესახებ არაფერი გვსმენია. და აი, ემანდ არ მოიწყინოთო, დიეგო კვლავ შეგვეხმიანა. თემა: ვინ იქნება „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელი. გეხსომებათ, ოქტომბერში, თხუთმეტთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ფიფაზე განაწყენებული არგენტინელი სუპერვარსკვლავი რა ზარ-ზეიმით მივიდა „ბოკაში“. ყველას ერთთავად პირზე ეკერა — მარადონა დაბრუნდა! დაუბრუნდა თავის ძველისძველ გუნდს, სადაც ჯერ კიდევ ევროპაში წასვლამდე, ბევრი ფულის შოვნამდე და მისი ცხოვრების უამრავ დრამატულ თუ ტრაგიკულ მომენტამდე თამაშობდა. დიდი ხანი არ გასულა ოქტომბრიდან, დიდხანს ვერ გაძლო დიეგომ ძველ-ახალ გუნდში, ხეთშაბათს განაცხადა, მივდივარო.

— არ მინდა, „ბოკას“ გზაზე გავეჩხირო, ამიტომაც ვტოვებ — თქვა მარადონამ მას მერე, რაც კლუბის ახალ პრეზიდენტს მაურიციო მაკრის შეხვდა და ელაპარაკა. ფეხბურთელს სურდა, გადაეთქმევინებინა პრეზიდენტისთვის გუნდის მწვრთნელად კარლოს ბილარდოს მოყვანა. ბილარდოს და დიეგოს მრავლად უმუშავიათ ერთად არგენტინის ნაკრებსა თუ ესპანეთის „სევილიაში“. სწორედ სევილიაში მოუვიდათ უთანხმოება. ახლა კი, რომ გაიგო, მაკრის „ბოკაში“ ბილარდო მოჰყავსო, დიეგომ იქუხა და მყის თავისი კანდიდატი ჰექტორ ვეირა შესთავაზა. რომ არ დაუჯერეს, გუნდიდან მივდივარო, განაცხადა. ბევრი დააკლდება „ბოკას“ ამით? ერთმხრივ, ცხადია, დააკლდება, მაგრამ მეორე მხრივ, დიეგო ბოლო დროს ვარჯიშს ვარჯიშზე აცდენდა.

პაპუნა ქედია



1986 წელს, მსოფლიო ჩემპიონები რომ გახდნენ, ბილარდო და დიეგო ერთმანეთს კარგად ეხუტებოდნენ...

**ბოლივიაში** არ ცხრება შფოთვა იმის გამო, რომ ფიფამ ამ ნამეტანი მთაგორიანი ქვეყნის ნაკრებს დედაქალაქ ლა-პასში, ანუ ზღვის დონიდან 3 ათასი მეტრის ზემოთ მდებარე ალაგას თამაში აუკრძალა (მიზეზები „სარბიელის“ წინა ნომერში გაუწყეთ). პარიზიდან მოსული ცნობა გაციებული არ იყო, რომ აღშფოთებული ხალხი ქალაქის ქუჩებში გამოვარდა და სტიქიური მიტინგი მოაწყო. მეორე დღეს მთელი ბოლივიის მშრომელებმა ხუთწუთიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა მოაწყეს და ამ დროს მხოლოდ რადიო მუშაობდა, ისიც თურმე მხოლოდ ეროვნულ ჰიმნს გადასცემდა... ფეხბურთის ფედერაცია რომ განაწყენებულია და ფიფაში პროტესტს პროტესტზე აგზავნის, ცხადია.



ლა პასის მერი ლუის ალბერტო ვალე სათავეში ჩაუდგა მომიტინგეებს

ახლა ამაში ბოლივიის მთავრობაც ჩაერია, თუმცა არა გვგონია, ამანაც რომ გაჭრას. გარდა დედაქალაქისა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ჩატარება შეუძლებელი შეიქნა ორუროსა (3 800 მეტრი) და პოტოსში. ბოლივიელებს მხოლოდ ორი ქალაქიდან მოუწევთ არჩევანის გაკეთება — სუკრე და კოჩაბამბა მხოლოდ ორკილომეტრნახევარზე აზიდულან ზღვის დონიდან. ისე კი, მართალია, არცერთი სააგენტო არაფერს ამბობს, მაგრამ ამ ცნობამ ერთი კითხვა დაბადა — სად ჩაატარებს საშინაო მატჩებს აზიის მეოთხე ჯგუფში მოხვედრილი ნეპალი?

**ხორვატები** ომშიც და ფეხბურთშიც რომ ჩვენზე მაგრები ყოფილან, ფაქტია, მაგრამ თურმე არც მოხერხებულობა და ეშმაკობა ჰკლებიათ. პარიზის წილისყრის დამთავრებისთანავე ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ წინადადებით მიმართა მოძმე ბოსნიელ ფეხბურთელებს, რომ მათ თავიანთი საშინაო შეხვედრები იტალიაში კი არა, სწორედ ხორვატიაში გამართონ. ეჭვი გვეპარება, საქმე მხოლოდ ძმობასა და სტუმართმოყვარეობაში იყოს — ეს გუნდები ხომ ერთ შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ და, ვგონებთ, ხორვატებს დამატებითი საშინაო მატჩის ჩატარება განუზრახავთ.

**ესპანეთის** „ბარსელონასთან“ გიორგი ქინქლაძის „სიტის“ მოლაპარაკებები დროებით შეწყდა და რუმინელი გეორგ პოპი და გაესპანელებული დანიელი კრისტენსენი იქ დარჩნენ, სადაც არიან. სამაგიეროდ, ფრენსის ლის არ გასჭირვებია ნორვეგიის „ლილესტრიომთან“ მოლაპარაკება და შედეგმაც არ დააყოვნა — 1 იანვრიდან ჩვენს ლეგიონერთან ერთად „სიტის“ ნახევარდაცვაში ითამაშებს 30 წლის კარე ინგებრიგტსენი, ვისაც ნორვეგიის ნაკრებში 25 მატჩი აქვს ნათამაშები.

**რუსეთის** ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ მოთამაშე ვიქტორ ონოპკო თავად ხომ დაიბნა, იმდენ კონტრაქტს მოაწერა ხელი, სხვებიც დააბნია და საქმე ფიფამდე მიიყვანა. ამის პასუხმაც არ დააყოვნა: ონოპკოზე ყველა უფლება „ოვიედოს“ მიანიჭა, ხესუს ხილის „ატლეტიკო“ კი ხელმოცარული დატოვა. ამასობაში მეორე მადრიდულ კლუბ „რეალს“ არავინ შეეცილა 23 წლის იუგოსლაველი დეიან პეტკოვიჩის შეძენაში, თუმცა აქამდე ამ ფეხბურთელის ბელგრადის „პარტიზანიდან“ მხოლოდ ნახევარი წლით თხოვებაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ სამეფო კლუბმა მართლა მეფურად გაიკრა ჯიბეზე ხელი და ოთხწლინახევრიანი კონტრაქტი დაუდო პეტკოვიჩს, პარტიზა-[illegible]

# ამტვრევ, არა...

მოიგო ბოსმანმა ის ოხერი საქმე! პარასკევს ევროპის სასამართლომ ისეთი განაჩენი გამოიტანა, როგორიც მოსალოდნელი იყო. დასავლური დემოკრატიისა და ერთიანი ევროპის მშენებელმა ვექილებმა და ჩინოვნიკებმა უეფას ტრანსფერების წესი ლაუწუნეს და დაადგინეს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა ამგვარი დარღვევა არ უნდა ხდებოდეს. ამგვარად, აწი ფეხბურთელს (იქაურს) გუნდთან დადებული კონტრაქტის ვადა რომ გაუვა, მყისიერად ეგრეთ წოდებული თავისუფალი აგენტი იქნება. ძველი გუნდი მას ველარ გაყიდის. ის წესი, უეფამ და ფიფამ ათწლეულების მანძილზე რომ სრულჰყვეს, ერთი თითქმის უნიჭო ბელგიელი ფეხბურთელის ჟან მარკ ბოსმანის მიერ წამოწყებულმა, დროის შესაფერისმა საქმემ წყალს გაატანა. კიდევ გავიმეოროთ, წყალს გაატანა იმ 18 ქვეყნისთვის, ევროკავშირში რომ შედიან, თორემ დანარჩენი ქვეყნები (ფიფაში 193-ია) ძველებურად იყიდიან და გაყიდიან მოთამაშეებს. ცხადია, რაღაცაა მოსაფიქრებელი. ამ რაღაცას უეფას იურისტები აუცილებლად მოიფიქრებენ, თორემ აშკარაა, რომ ევროპულ ფეხბურთში ჩართული 50 ქვეყნიდან 18 საუკეთესო ცალკე წესით ვერ იცხოვრებს. რაღაც ერთიანია საჭირო. მოთამაშეების ყიდვა-გაყიდვის კანონს ამხელა მნიშვნელობა იმიტომ მიენიჭა, რომ უამრავი კლუბი, არათუ ჩამორჩენილ, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც (იმავე იტალია-ესპანეთ-გერმანიაშიც) თავს ამით ირჩენს. ჩვენმა თბილისის „დინამომაც“ გიორგი ქინქლაძის „მანჩესტერ სიტიში“ გაყიდვით კი ფული იშოვნა. კლუბის შენახვას აი რა სახსრებიც სჭირდება, ადვილი მისახვედრია. ახლა ევროკავშირელებმა უამრავ თავის გუნდს შემოსავლის ეს უმნიშვნელოვანესი წყარო მოუსპეს.

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა ევროსასამართლოს განაჩენისთანავე პრეს-კონფერენცია მოაწყო. მან თქვა: „ეს ყველაფერი ფეხბურთში დიდ არეულობას მოიტანს. ჩვენი ამოცანა მხოლოდ დაწინაურებულ ქვეყნებთან, კლუბებთან და მოთამაშეებთან ურთიერთობა და მათთვის თამაშების მოწყობა არ გახლავთ. შესაძლოა, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით თითო-ოროლა კაცმა მოიგო, მაგრამ უმრავლესობა დამარცხებულია. ყველასთვის ცხადია, რომ ეს იყო თავდასხმა ფეხბურთზე. როგორ შეიძლება ხელის ერთი დაკვრით დავარღვიოთ ტრანსფერთა სისტემა, საუკუნის მანძილზე რომ ვაშენებდით. დღეს მოთამაშეები კლუბებს საბალანსო დოკუმენტებში ჰყავთ შეყვანილი, მაგრამ აწი ამას აღარ იზამენ.“

შოტლანდიელმა ვექილმა და უეფას ევროკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ დევიდ ვილმა თქვა, რომ სასამართლოს გა-



ნაჩენი უეფას სამ ძირითად საკლუბო შეჯიბრებას (ჩემპიონთა, უეფას და თასების თასები) არ შეეხება. ეს არც ქვეყნების შიდა ტრანსფერებზე იმოქმედებს — „ეს შეეხება მხოლოდ ევროკავშირის წევრი ორი ქვეყნის კლუბების და ფეხბურთელების ურთიერთობას,“ — თქვა მან.

მართალია, ფიფას პრეზიდენტი ჟოაო ავალანჟი ლენარტ იუჰანსონთან უბრად არის, მაგრამ ამ საქმეში მხარი მაინც დაუჭირა. ყოველ შემთხვევაში, ფიფას შესაბამისმა დეპარტამენტმა გაავრცელა ოფიციალური წერილი, სადაც საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ სასამართლოს დადგენილება ეხება 193-დან მხოლოდ 18 ქვეყანას. ფიფას ხელმძღვანელთა აზრით, სასამართლომ საერთოდაც მცდარი დასკვნა გააკეთა და ტრანსფერთა სისტემის სიკეთე ეჭვმისატანი არ არის. ფიფა აცხადებს, რომ ყურადღებას მიაქცევს, რას მოიმოქმედებს უეფა ამ 18 ქვეყნის მიმართ და როგორ მოაგვარებს პრობლემას.

ასე და ამგვარად, ბოსმანმა, უფრო სწორად მისმა ადვოკატმა მოიგო. ამას ერთგვარი არეულობა მოჰყვება, ჩვენი აზრით, აქ უფრო მთავარი სხვა რამაა — ტენდენცია. ახლა არაფერს იტყობინებიან და, თუ გახსოვთ, ამ ბოსმანის ადვოკატს სხვა იდეებიც აწუხებდა. კერძოდ, ერთი-ერთი ასეთი „დემოკრატიული“ იდეა ის გახლდათ, რომ თურმე ადამიანს არ უნდა ავუკრძალოთ იმ ქვეყნის ნაკრებში თამაში, რომლის კლუბშიც გამოდის. შენ დაუკარ! იტალიის ნაკრები ესპანელებით, თეთრი და შავი ფრანგებით, ინგლისელებით და სხვა ევროკავშირელებით — ხომ კარგია?! ამასწინათ, მოგეხსენებათ, იმავე იტალიის სენატმა ევროკავშირელებს უცხოელის სტატუსი მოუხსნა. მოკლედ, თუ ეს მაასტრიხტული სულისკვეთება ფეხბურთში ფეხს მოიკიდებს (თანაც ჯინაზე ევროკავშირში ყველაზე მოწინავე საფეხბურთო ქვეყნები შედიან), შეიძლება პასიანსივით გაშლილი უეფას კარტი მაგრად აირიოს. ეს კი, ვფიქრობ, ხელს არ უნდა გვაძლევდეს.

**1997 წლის ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფები**

**18 წლამდე**

პირველი ჯგუფი: შოტლანდია, ლიტვა, უელსი, ჰოლანდია
მე-2 ჯგუფი: ფარერები, შვედეთი, საფრანგეთი, ლატვია
მე-3 ჯგუფი: ნორვეგია, ბელარუსი, ესტონეთი
მე-4 ჯგუფი: დანია, ირლანდია, პოლონეთი
მე-5 ჯგუფი: ფინეთი, ჩრდ. ირლანდია, ინგლისი
მე-6 ჯგუფი: თურქეთი, გერმანია, ბელგია, პორტუგალია
მე-7 ჯგუფი: მაკედონია, სლოვაკეთი, ხორვატია
მე-8 ჯგუფი: ავსტრია, შვეიცარია, აზერბაიჯანი
მე-9 ჯგუფი: ლუქსემბურგი, მალტა, ჩეხეთი
მე-10 ჯგუფი: სლოვენია, ალბანეთი, ესპანეთი
მე-11 ჯგუფი: რუმინეთი, ისრაელი, მოლდოვა, უკრაინა
მე-12 ჯგუფი: საბერძნეთი, იტალია, იუგოსლავია
მე-13 ჯგუფი: რუსეთი, კვიპროსი, უნგრეთი
მე-14 ჯგუფი: ბულგარეთი, საქართველო, სომხეთი

**16 წლამდე**

პირველი ჯგუფი: რუსეთი, რუმინეთი, იტალია, აზერბაიჯანი
მე-2 ჯგუფი: იუგოსლავია, ისრაელი, ალბანეთი
მე-3 ჯგუფი: სან-მარინო, უკრაინა, მოლდოვა
მე-4 ჯგუფი: თურქეთი, საფრანგეთი, მალტა
მე-5 ჯგუფი: საბერძნეთი, საქართველო, ბულგარეთი
მე-6 ჯგუფი: მაკედონია, ჰოლანდია, სლოვენია, დანია
მე-7 ჯგუფი: ლიხტენშტეინი, კვიპროსი, ავსტრია
მე-8 ჯგუფი: ინგლისი, ჩეხეთი, ესპანეთი
მე-9 ჯგუფი: ხორვატია, ბელარუსი, სლოვაკეთი
მე-10 ჯგუფი: პორტუგალია, უნგრეთი, სომხეთი
მე-11 ჯგუფი: უელსი, შოტლანდია, ნორვეგია, პოლონეთი
მე-12 ჯგუფი: ესტონეთი, ლატვია, შვეიცარია
მე-13 ჯგუფი: ფარერები, ლუქსემბურგი, ისლანდია
მე-14 ჯგუფი: ირლანდია, ჩრდ. ირლანდია, ლიტვა
მე-15 ჯგუფი: ბელგია, შვედეთი, ფინეთი

# ნომერი ცხრა — ნელსონ მანდელა

**სამხ. აფრიკა 0:0 გერმანია**

სამხრეთ აფრიკა: არენდსე, მოტუნგი, ნიათი, ტოვი, ტაკერი, ტინკლერი, ბუზელეზი, მაკალაკალანე (მუზა 76), ხუმალო, მასინგა (მუდაო 82), ვილიამსი (ბარტლეტი 64)

გერმანია: კეპკე, როიტერი, კოლერი (ბაინლიხი 76), ჰელმერი, შნაიდერი, ბოდე, მიოლერი, ჰაბერი (ვორნსი 62), ჰესლერი, კლინსმანი, ბობიჩი

პარასკევს, იოჰანესბურგის „ნიუ ათლეტიკ სტადიუმზე“ გერმანიამ სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან ფრე ითამაშა. ცხელოდა, თუმცა თამაშამდე ევროპელმა სტუმრებმა პატარა აფრიკული შტორმიც ნახეს. გერმანელები, მოგეხსენებათ, ზაფხულისთვის, ევროპის პირველობისთვის ემზადებიან, სამხრეთაფრიკელებს კი მანამდე, ერთ თვეში თავიანთი კონტინენტის ჩემპიონატი უწევთ. პირველ ტაიმში მასპინძლებმა, რომლებსაც ახლა უკვე 13 შეხვედრაა, არ წაუგიათ, სახიფათო მომენტები შექმნეს. ეს ძირითადად მათი ნახევარმცველის დოქტორ ხუმალოს დამსახურება გახლდათ. თავდამსხმელებმა ფილ მასინგმა და მარკ ვილიამსმა დიდებული შესაძლებლობანი გაუშვეს ხელიდან. გერმანელებმა, რომელთაც სამი ახალწვეული ჰყავდათ და მჭიდრო პერსონალურ მეურვეობასაც მიმართავდნენ, მეორე ტაიმში უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით უპირატესობა იგდეს ხელთ. გამოირჩეოდნენ თომას ჰესლერი და ანდი მიოლერი. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე სამხრეთაფრიკელთა მეკარემ ანდრე არენდსემ ცალი ხელით კლინსმანის დარტყმული ურთულესი თაური მოიგერია. შეხვედრას ესწრებოდა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ნელსონ მანდელა, რომელიც თამაშამდე ხალხთან მისასალმებლად თავისი ქვეყნის ნაკრების მეცხრენომრიანი მაისურით გავიდა. ეს ნომერი გუნდის კაპიტანს ნეილ ტოვს ეკუთვნის.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ესპანეთის ჩემპიონატი. XVIII ტური

20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბასეტე — ბილბაო | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ზოსიედადი — ტენერიფე | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| რასინგი — სალამანკა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ატლეტიკო — კომპოსტელა | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| სპორტინგი — ვალენსია | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| სევილია — ბარსელონა | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ესპანიოლი — ბეტისი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| სელტა — ოვიედო | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| დეპორტივო — რეალი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ვალიადოლიდი — ვალეკანო | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| მერიდა — სარაგოსა | 2,0 | 2,5 | 2,5 |

ინგლისის ლიგის თასი. გადათამაშება

20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ნორვიჩი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ბირმინგემი — მიდლსბრო | 2,3 | 2,7 | 2,0 |

ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტური

23 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — ევერტონი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ლივერპული — არსენალი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| მანჩესტერ სიტი — ჩელსი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| მიდლსბრო — ვესტ ჰემი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ნიუკასლი — ნოტინგემი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ქუინზ პარკი — ასტონ ვილა | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| შეფილდი — საუთჰემპტონი | 1,3 | 2,9 | 5,3 |
| ტოტენჰემი — ბოლტონი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| უიმბლდონი — ბლექბერნი | 2,2 | 2,6 | 2,2 |

24 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიდსი — მანჩესტერ იუნ. | 1,9 | 2,6 | 2,6 |

იტალიის ჩემპიონატი. XV ტური

23 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრემონეზე — ტორინო | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ფიორენტინა — მილანი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ინტერი — კალიარი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| იუვენტუსი — რომა | 1,3 | 2,7 | 6,0 |
| ლაციო — ატალანტა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| პადოვა — პიაჩენცა | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| პარმა — ვიჩენცა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სამპდორია — ნაპოლი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| უდინეზე — ბარი | 1,25 | 3,0 | 5,6 |

გოლების რაოდენობა

ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

იტალია. 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9

ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | 1-1 | | | 0-1 | | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | | | 3-1 | | | | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | 1-1 | | | | 4-1 | | | 1-0 | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | | 2-1 | 2-1 | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | 0-0 | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | | 2-3 | | 3-1 | | | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | | 1-0 | ■ | | | | | 2-3 | 2-3 | | 2-0 | | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | | | 4-1 | | | | | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | | | | 2-0 | | | ■ | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | | ■ | 2-3 | | | 3-2 | | | 4-1 | 2-0 | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | | | 0-0 | | 1-0 | | | 2-0 | | ■ | 2-1 | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | 0-1 | 0-2 | | | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | | 2-1 | | 1-1 | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | ■ | | | 3-3 | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | 2-1 | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | 2-1 | ■ | | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | | | | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | ■ | 1-0 | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | | | | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | | | | 1-0 | 0-2 | | | | | 3-1 | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | 0-0 | | |
| 2 | AS BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | 0-2 | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | 0-2 | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | 2-0 | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | 2-1 | ■ | | 0-0 | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | 3-2 | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | 1-1 | ■ | | | | 0-0 | | 0-0 | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | 0-0 | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | 1-1 | | 2-1 | | | ■ | 3-2 | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | 1-1 | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | 4-0 |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | 0-0 | | | | 2-2 | | ■ | | 1-0 | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | 1-0 | ■ | 1-1 | 1-0 |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | 1-1 | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | 3-1 | | | | | | | 1-0 | ■ |


## ვისაც სურს გახდეს

ჟურნალისტი,

ფოტორეპორტიორი,

გაიგოს, როგორ კეთდება გაზეთი

## «ოაზისი»

გაზეთი მოზარდებისთვის

აცხადებს კონკურს

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ გოგონებსა და ვაჟებს 13 წლიდან 16 წლამდე. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ნებისმიერ თემაზე შესრულებული სტატია 2-3 თაბახი (პროგრამული თემები არ მიიღება).

„ოაზისის" პირველი ნომერი გამოვა 1996 წლის თებერვალში. გაზეთის რედაქცია შეიქმნება გამარჯვებული მოზარდებით, რომლებიც პოპულარული გაზეთებიდან მოწვეულ ჟურნალისტებთან ერთად იმუშავებენ გაზეთის გამოშვებაზე.

სტატიები წარმოადგინეთ მისამართზე:

მარჯანიშვილის 5 (უნივერმაღის გვერდით), III სართული ოთახი 313, 2-დან 4-საათამდე.

ტელ: 96-91-73



# დერიუგინი სენს მოერია

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე ისე მიილია, ნიკოლოზ დერიუგინი შინაურ სარბიელზე არ გამოჩენილა. მან ორჯერ ითამაშა ნაკრების შემადგენლობაში, ეგ იყო და ეგ. ცხადია, მისმა გაუჩინარებამ ბევრი ხმები დააგდო. ნაწილი ამას დერიუგინის ავადმყოფობას მიაწერდა, ზოგმა — კვლავაც საზღვარგარეთ მიდის სათამაშოდო. იმასაც ამბობდნენ, ღვაწლმოსილ კალათბურთელს საქართველოს ჩემპიონატი არ აინტერესებს, თავს არ იწუხებს და დიდი-დიდი სუპერფინალებში თუ გამოჩნდებაო. სიმართლის გასარკვევად თავად კოლიას დავუკავშირდით და თან ყველა ჭორიც ვუთხარით, რაც კი მის შესახებ დადიოდა.

— „სამწუხაროდ, — გვითხრა დერიუგინმა, სენსაციის მოყვარულებს ვერაფრით გავახარებ. იმის მიზეზი რომ არ ვთამაშობ, ავადმყოფობა გახლავთ. ისრაელთან და ბელარუსთან თამაშის შემდეგ ბევრმა რამემ შემაწუხა, თანაც ერთდროულად. გულის საქმე არ მქონდა მაინცდამაინც კარგად. არითმია დამეწყო. ნაღვლის ბუშტმაც შემახსენა თავი. შემდეგ ნერვული დაძაბულობაც გადავიტანე. ამას ზედ წნევაც დაერთო. საერთოდ, სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ ვარჯიშს მაინც ვერიდებოდი. სახლში ერთი კვირა ვიწექი, ძირითადად კი ამბულატორიულად ვმკურნალობდი. მადლობა ღმერთს, ჩემს ქრონიკულ დაავადებას — ფეხის ტრავმას ამ პერიოდში არ შევუწუხებივარ.

რაც შეეხება საზღვარგარეთ წასვლას, „ვითასთან" სეზონის დამთავრებამდე კონტრაქტი მაქვს დადებული და სად უნდა წავიდე, ვერ გამიგია. წლის ბოლოს რა იქნება, ვერ გეტყვით, ამ სეზონს კი ნამდვილად იქ ჩავამთავრებ. ვარჯიში უკვე განვაახლე, დაახლოებით ერთი კვირა იქნება. ჯერ დასუსტებული ვარ, ამიტომ ყურადღებას ფიზიკურ მომზადებაზე ვამახვილებ. შევადგინე ვარჯიშის ინდივიდუალური გეგმა, რომლის მიხედვითაც ჯერ მძლეოსნობის მანეჟში ვემზადები ფიზმომზადების მწვრთნელის მეთვალყურეობით. ორშაბათს „ვითას" შევუერთდები და ერთხანს ასე გავაგრძელებ: დილით — მანეჟში, საღამოს — გუნდთან. არა მგონია, ადაპტაცია გამიჭირდეს. ერთი სიტყვით, მეორე წრიდან უკვე სრულფასოვნად ჩავებმები ჩემპიონატში.

იმასაც გეტყვით, რომ კალათბურთისთვის თავის მინებებას ჯერ არ ვაპირებ. არა, ამას არც მანამდე ვფიქრობდი, მაგრამ გუშინ ტელევიზორში იმისთანა რამ ვნახე, რამაც აზრი უფრო განმიმტკიცა. NBA-ის მატჩს აჩვენებდნენ და „შარლოტის" შემადგენლობაში 42 წლის რობერტ პერიში თამაშობდა. ისიც თქვეს, მან კლუბთან ახალი, ორწლიანი კონტაქტი გააფორმაო. ჰოდა, ჩემთვის ვთქვი: თუკი 42 წლის პერიშს შეუძლია NBA-ში თამაში, რატომ ვერ უნდა შესძლოს 36 წლის ნიკოლოზ დერიუგინმა იგივე საქართველოს ჩემპიონატში?! ასე, რომ ყველაფერი წინაა.




## ჩერქეზიშვილი სდასუ-ში

თბილისის „ვითას" ყოფილი კაპიტანი ნიკო ჩერქეზიშვილი ამ სეზონში მოედანზე არ გამოსულა. გუნდის დატოვების შემდეგ იგი არსად ირიცხებოდა, არ ვარჯიშობდა, ისვენებდა და ძველ ძველ ტრავმებს მკურნალობდა. ის-ის იყო დაიწყეს მისი კალათბურთიდან წასვლაზე ლაპარაკი, რომ ნიკომ თავად გაფანტა ყველა ეჭვი: ამ დღეებში ახალ გუნდში — საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში მივიდა. შეგახსენებთ, რომ სდასუ ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ მეხუთე ადგილზეა. ჩერქეზიშვილმა უკვე ოთხჯერ ივარჯიშა ახალ გუნდში და ალბათ უეჭველია, რომ მეორე წრიდან მის ღირსებას დაიცავს. ამგვარი კალათბურთელის შემატება დიდად სასიკეთო საქმე იქნება ახალგაზრდული სდასუ-თვის. გუნდის ხელმძღვანელობის აზრით, ჩერქეზიშვილის გამოცდილებისა და ენერგიის წყალობით, უკვე რეალურად შეიძლება ფიქრი ჩემპიონატის ფინალურ ოთხეულში მოხვედრაზე.

# გრიპიანი «მაკაბი» «ერევნის თასზე»

საქმეს ისეთი პირი უჩანს, საქართველოს ჩემპიონატი გაზაფხულის პირამდე არ განახლდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მონაწილეთა უმრავლესობა იქამდე უქმად იქნება და მხოლოდ ვარჯიშითა ან თითოოროლა სპარინგ-მატჩით თუ მოკლავს კალათბურთის ჟინს. შედარებით ფხიანები ალბათ შეკრებებსაც მოაწყობენ, მაგრამ კონკრეტული გეგმა ჯერ არავის აქვს.

ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული კლუბი თბილისის „მაკაბი" კი დროს უქმად არ კარგავს. პირველი წრის დამთავრებისთანავე მან ერევანს მიაშურა, სადაც „ერევნის თასად" წოდებული ტურნირი გაიმართა. ვარაუდობდნენ, რომ შეჯიბრებას ირანული კლუბებიც ესტუმრებოდნენ, მაგრამ ამათ ბოლო მომენტში გადაუფიქრებიათ და ასპარეზობაში 7 სომხური და ერთი ჩვენებური გუნდი ჩაბმულა.

„მაკაბის" მწვრთნელის ლევან ინწკირველის ცნობით, მონაწილეები ორ ქვეჯგუფად დაუყვიათ. თბილისელებს პირველსავე დღეს ყველაზე ძლიერი გუნდი — სომხეთის ამჟამინდელი ჩემპიონი ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტი შეხვდა, რომელსაც ჯერ კიდევ საკავშირო შეჯიბრებებიდან ცნობილი რუსი მწვრთნელი ვიტალი ზასტუხოვი ავარჯიშებს. გაიმართა დაძაბული ბრძოლა, სადაც სომხებს ერთი ქულით — 67:66 უმარჯვიათ. მომდევნო ორი თამაში მაკაბელებმა მოიგეს და ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ.

ამის შემდეგ შედგა ფინალური ოთხეული, სადაც ასპარეზობა ოლიმპიური პრინციპით გაგრძელდა. თბილისელების მეტოქე ამჯერად სხვა ქვეჯგუფის გამარჯვებული, ერევნის სკა იყო. დავმარცხდით, მაგრამ თურმე ობიქტური მიზეზების გამო. მაკაბელებს ხელი დარია მოსკოვიდან შემოსულმა ახალი ტიპის გრიპის საშინელმა ვირუსმა, რომელიც თითქმის ნახევარ გუნდს მოედო. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ხუხაშვილი ისე ცუდად გამხდარა, საერთოდ ვერ უთამაშია. შველიძემ და ტაბატაძემ მატჩი თითქოს ჯანმრთელებმა დაიწყეს, მაგრამ სიცხემ თამაშისას აუწიათ და დამთავრებისას პირველს 39,8, მეორეს — 39,3 გრადუსი აღმოაჩნდა.

ბოლო დღეს კი გაიმართა შეხვედრა მესამე ადგილისთვის, სადაც მაკაბელები ტურნირის ორგანიზატორ კლუბს, ერევნისავე „გრანდ-კლუბს" ეთამაშნენ. ეს გუნდი ძირითადად ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელებით ყოფილა დაკომპლექტებული, თუმცა რიგებშეთხელებულ „მაკაბის" მაინც არ გასჭირვებია მოგება — 73:61. ამით თბილისელებმა „ერევნის თასზე" მესამე ადგილი დაიკავეს.

ტურნირის შედეგების გარდა, ბატონ ლევანს სომხური კალათბურთის ზოგადი დონის შეფასებაც ვთხოვეთ. მას ყველაზე მეტად ორი გუნდი — ფიზკულტურის ინსტიტუტი და სკა მოსწონებია. არმიელები ყველა რგოლში თანაბრად ყოფილან დაკომპლექტებული, ფიზიკურად არაჩვეულებრივად მომზადებულნი და არტაქტიკის საქმე ჰქონიათ ცუდად. ერთადერთი, რაც აკლიათ შეთამაშებაა. ფიზკულტურელები კი, თურმე ამ კომპონენტში არიან ძლიერები და ბოლო სეზონშიც ამის გამო აურთმევიათ არმიელებისთვის ქვეყნის ჩემპიონობა. ინწკირველის აზრით, ეს ორივე გუნდი საქართველოს ჩემპიონატის ექვსეულში მოხვდება, ოღონდ ჩვენს მოწინავე კლუბებთან, მაგალთად, „ვითასთან" და „დინამოსთან" მოგების თეორიული შანსი თუ ექნებათო.

პირობების მხრივ კი ყველას „გრანდ-კლუბი" სჯობს. ამ ახალ შექმნილმა კლუბმა თავისთვის ყველა პრობლემა გადაიჭრა - შუქი, გათბობა, ცხელი წყალი მათთვის დაბრკოლებას აღარ წარმოადგენს. ის კი არა, უახლესი საკალათბურთო ინვენტარიც მრავლად აქვთ. კერძოდ, ახალი ტიპის, ეგრეთწოდებული „ზამბარიანი" ფარებიც, რომლებითაც მთელი ევროპა თამაშობს, ჩვენ კი სანატრელი გაგვხდომია. სომხურ კლუბთა უმრავლესობისთვის არც უცხოური ტურნეებია იშვიათი. მაგალითად, ქვეყნის კადეტთა ნაკრები ამასწინათ ირანში ყოფილა ერთთვიან შეკრებაზე. ზემოთნახსენები გუნდები კი თურმე ყოველ წელს საფრანგეთში მიემგზავრებიან საერთაშორისო ტურნირებზე.

სომხებს მეტად თბილად მიუღიათ თბილისელი კალათბურთელები, კარგ პირობებში უცხოვრებიათ და დაპირებიან, „ერევნის თასის" ტრადიციულ ტურნირად ქცევას ვაპირებთ და მომავალშიც აუცილებლად მოგიწვევთო.

მიხეილ დადიანი.

# ჟაკ ვილნევს მეფობა სურს

ეროვნული ბიბლიოთეკა



1995 წლის ინდიკარის ჩემპიონი, ან „უილიამსის" პილოტი ფორმულა 1-ში ჟაკ ვილნევი 1971 წელს დაიბადა. მამამისი ჟილ ვილნევი „ფერარის" მძღოლი იყო და 1982 წელს საწვრთნელი რბოლის დროს დაიღუპა. ჟაკის დებიუტი 1988 წელს შედგა. ის 3 წლის მანძილზე იტალიურ მანქანათა შეჯიბრში მონაწილეობდა „ალფა-რომეოს" გუნდში. 1992 წელს ფორმულა 3-ში გადავიდა. „ტოიოტასთან" ერთად აქ ვიცეჩემპიონობას მიაღწია. 1993 წელს ფორმულა ატლანტაში გადავიდა, ხუთირბოლა მოიგო და მესამე ადგილზე გავიდა. 1994 წელს ინდიკარის სერიაში მიიღო მონაწილეობა „რეინარდ-ფორდ-გრინთიმის" შემადგენლობაში და მეექვსეზე გავიდა. 1995 წელს ინდი-500-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. „უილიამსთან" მისი კონტრაქტი ოთხ მილიონიანია,სამ მილიონ დოლარსაც პირადი სპონსორებისგან მიიღებს. რბოლის სტილით მას ალენ პროსტს ადარებენ — ბოლიდი რბილად დაჰყავს და ყველაფერს უზუსტესი გათვლით აკეთებს. ჰყავს მეგობარი გოგო,უყვარს კომპიუტერული თამაშები, სამეცნიერო ფანტასტიკური ლიტერატურა და მუსიკა, აქვს 5000 კომპაქტ-დისკი. გთავაზობთ „შპორტ-ბილდში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს ჟაკ ვილნევთან.

**— ხომ არ ნანობთ იმას, რომ ინდიკარის ჩემპიონი ახლა ფორმულა 1-ში მოსწავლედ გვევლინება?**

— არც ერთი წამით. სატესტო რბოლებმა კარგად ჩაიარა და უფრო შემახურა. ბავშვობიდან ვოცნებობდი, ფორმულა 1-ის საჭეს მივჯდომოდი.

**— მხოლოდ ამ მიზეზით მიატოვეთ ამერიკა?**

— არა, ფორმულა 1 მოტოსპორტში შესაძლებლობების გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა, მსოფლიოს ყველაზე მაღალი მწვერვალია. მინდა მრბოლთა მეფე გავხდე. ისეთი საოცრად კარგი მანქანა რომ არ მრგებოდა, როგორიც „უილამსია", ამერიკიდან არ გადმოვბარგდებოდი. იმიტომ არ ჩამოვსულვარ, მეორე რომ ვიყო.

**— და ამ ყოველივეს პირველსავე წელს აპირებთ?**

— ჩემი თავის იმედი რომ არ მქონდეს, ამ საქმეს შევეშვებოდი. ფორმულა 1 მოდების ჩვენება არაა. ეს ომია წამების მოსაგებად. ამ ომში გამარჯვებული დავრჩები, მით უმეტეს, რომ ამისთვის კარგი წინაპირობები არსებობს.

**— გასაოცარი მანქანა, გასაოცარი გუნდი ზღაპარივით ჟღერს, მაგრამ ეს სინამდვილეა. ხომ არ გბოჭავთ ეს იდილია და ჰარმონია? თქვენ ხომ უნდა გაამართლოთ „უილიამსის" იმედები.**

— მშიშარა არა ვარ, თანაც ამ ყოველივესთვის ფულს მიხდიან.

**— მამათქვენი საწვრთნელი რბოლის დროს დაიღუპა. გავლენას ხომ არ ახდენს ბოლიდის მისეული მართვის მანერა თქვენზე?**

— მამაჩემს, რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი პროფესიის არჩევაში,მაგრამ ჩემი და მისი მართვის სტილი განსხვავებულია. მე ისე ვმართავ, როგორც სწორად მიმაჩნია. როგორ დადიოდა მამაჩემი, ეს მისი საქმე იყო.

**— ხომ არ ნიშნავს ეს, რომ თქვენ არ გსურთ ერთ მშვენიერ დღეს მამათქვენივით „ფერარის" საჭეს მიუჯდეთ?**

— იმედი მაქვს, გამიგებთ, რატომ არ შემიძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მოხარული ვარ, რომ „უილამსის" გუნდში ვირიცხები და მათთან მრავალწლიანი შედეგიანი თანამშრომლობის იმედი მაქვს.

**— ფორმულა 1-ის რომელმა მრბოლმა იქონია თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?**

— აირტონ სენა განუმეორებელი იყო, ისე კი, კერპების მომხრე არ ვარ, ყოველმა ადამიანმა თავისი თავი უნდა იპოვოს და სხვისი ასლი არ უნდა გახდეს.

**— რა შეგიძლიათ თქვათ თქვენს კოლეგებზე? ბევრი ამბობს, რომ ფორმულა 1-ის მძღოლები შეზღუდული მსოფლმხედველობის ხალხიაო...**

— უმრავლესობას ძალზე ცუდად ვიცნობ საიმისოდ, რომ მათზე რაიმე კონკრეტული ვთქვა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება,რომ ბევრისთვის ფულის, შვებულების და ლამაზი ქალების გარდა არანაირი ინტერესი არ არსებობს. ცხოვრებაში ამის გარდა სხვაც ბევრი რამაა კარგი და საინტერესო.

**— იმედი გაქვთ, რომ დასაწყისიდანვე ისევე წარმატებით იასპარეზებთ, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი მიხაელ შუმახერი გამოდიოდა?**

— ამაში დარწმუნებული ვარ.

**— რას ფიქრობთ შუმახერზე?**

— ეჭვგარეშეა, მიხაელი ამჟამად უძლიერესია. კრიტიკულ სიტუაციებში ის საოცრად კარგად ირჯება. ჩემგან შეიძლება ეს კომიკურადაც ჟღერდეს, მაგრამ ის ასაკის კვალობაზე ძალიან შორს წავიდა. ახლავე მახარებს მასთან შეჭიდების პერსპექტივა..

თარგმნა
ერეკლე კიკილაშვილმა

52 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული სპორტის დიდი მოამაგე, სპორტის სასახლის დირექტორი ბატონი

**თენგიზ ლომიძე**

„სარბიელი" თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## აქეთური, იქეთური

ნიუ-ჯერზის სასამართლომ დაიწყო ლენოქს ლუისის სარჩელის განხილვა, აქაოდა ფრენკ ბრუნომ მსოფლიოს ჩემპიონობა ჩემთან და არა მაიკ ტაისონთან შერკინებაში უნდა დაიცვასო. ლუისი აქამდე გაუმტყუნებია როგორც ბრიტანეთის სასამართლოს, ასევე კრივის მსოფლიო საბჭოს.

*

საზარელი ტრაგედია დატრიალდა შვეიცარულ ყინულის ჰოკეიში. დავოსისა და ლუგანოს გუნდების თამაშის დროს 24 წლის ამერიკელი პატ შაჰჰაუზერი წაიქცა, ყინულზე გასრიალდა, თავით მოედნის ღობეს შეასკდა, კისერი მოიტეხა და დაკუტდა.

*

10 იანვარს იწურება 2004 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ განაცხადის წარდგენის ვადა. ჯერჯერობით მსურველი ათია: რომი, ქეიფთაუნი, რიოდეჟანეირო, ბუენოსაირესი, სტამბოლი, ლილი, სევილია, სანქტპეტერბურგი, სტოკჰოლმი და ათენი. მასპინძელს 1997 წელს აირჩევენ.

*

ფორმულა-1-ის საგაისო ჩემპიონატში ძველებურადვე 16 ეტაპი იქნება. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ წინა კვირაში კალენდრიდან ამოილო ზღვისრეთის გრან-პრი, იაპონიაში რომ უნდა გამართულიყო, ნიურბურგრინგის (გერმანია) ევროპის გრან-პრი კი ოქტომბრიდან სააპრილოდ გადმოიტანა.

*

არც ფიფასა და არც ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტ მია აზას არ ეპუება პაკისტანური ფეხბურთის ის ფრაქცია, ჰაფიზ სალმანბათი რომ თავკაცობს და მთავრობაც მხარს უჭერს. მეამბოხეები აწყობენ საერთაშორისო ტურნირს, რაც მორიგ თავსატეხს გაუჩენს მსოფლიოსა და კონტინენტის კონფედერაციის ფეხბურთის ხელისუფლებს.

*

რაკილა აღმაშფოთებელი ტექნიკური დარღვევების გამო „ტოიოტა" გაირიცხა ავტორალის საგაისო მსოფლიო პირველობიდან, წლევანდელ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასულმა ესპანელმა კარლოს საინსმა უგანა ამ გუნდს, მაგრამ წლევანდელივით „სუბარუში" კი აღარ დარჩენილა, არამედ „ფორდში" გადავიდა.

*

ჩინელ მოცურავეთა მწვრთნელი ჩენ იუნპენი 60 წლისა მოიყარა და კანონის ძალით პენსიაზეც გავიდა. მისი ზეობისას ჩინელებმა სასწაული რეკორდებით მსოფლიო აალაპარაკეს, მაგრამ ბოლო ხუთ წელს 19-ჯერაც ამხილეს დოპინგის ხმარებისათვის.

*

კვირას ავსტრალიელმა ქალმა ემა ჯორჯმა ისევ გააუმჯობესა ჰოკით ხტომის მსოფლიო რეკორდი, ამჯერად პერთში. ახალი მიღწევა 428 სანტიმეტრია და 3 სანტიმეტრით სჯობს ჯორჯისავე მელბურნისეულ შედეგს.

*

მონტეგუა-ბეიში (იამაიკა) მეგოლფეთა „ჯონი ვოკერის მსოფლიო პირველობა" მოიგო ამერიკელმა ფრედ კაპლზმა, რომელიც ბოლო წრის ბოლო ორი ორმოს იერიშის დროსღა წამოეწია ამერიკელ ლორენ რობერტსსა და ფიჯელ ვიჯეი სინგჰს, მერე კი ორივეს აჯობა პლეი-ოფის მეორე ორმოზე. კაპლზს გამარჯვებისათვის 550 ათასი დოლარი ერგო. ხელი არნახულად მოეცარა ზორბა ჯონ დეილის, ვინაც, როგორც მიმომხილველებმა იხუმრეს, ბურთი ყველა წინაღობას გაარტყა, კარიბული ცის გარდა. დეილის ოთხგზის ნორმაზე 40-ით უარესი (!) შედეგი აღმოაჩნდა.

კეტბურთიდან კალათბურთში დაბრუნებულმა მაიკლ ჯორდანმა აიწყვიტა — 13 დეკემბერს 36 ქულა ჩაუგდო „ორლანდო მეჯიქს" და თავისს „ჩიკაგო ბულზს" 112:103 გაამარჯვებინა. ეს ჩიკაგოელთათვის ზედიზედ მეშვიდე მოგება ყოფილა. ვალში არ დარჩენილა არც შაკილ ო ნილი, ნაოპერაციევი 15 დეკემბერს რომ დაუბრუნდა ორლანდოს. „მეჯიქმა" იმ საღამოს 111:99 სძლია „იუტა ჯაზი", შაკილის მონაგარმა კი 26 ქულა და 11 მოხსნა შეადგინა.

## კრივი

# როგორ, ესაა ტაისონი?



ტაისონს ღონე ისევ მოსდევს, მაგრამ შემართება აკლია

პასუხისგებაში აფერისტობისათვის მიცემული დონ კინგის უცნობილესი შეგირდი, ნაციხარი მაიკ ტაისონი ცუდ დღეშია — ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელთან" და საკაბელო ტელეარხ „შოუთაიმთან" ისეთი კონტრაქტი დაუდია, რომ მესამე შერკინება უცილობლად საჩემპიონო უნდა გამართოს.

ამ შერკინებამდე, ლას-ვეგასში 16 მარტისთვის რომაა დათქმული საბჭოს ბრიტანელ მსოფლიო ჩემპიონ ფრენკ ბრუნოსთან, სამი თვეღა რჩება, ტაისონი კი ძველი მაიკის ოდენ აჩრდილია. მართალია, ღონე ძველებურადვე მოსდევს, მაგრამ რინგზე ერთობ ზანტად მოძრაობს და არც ბრძოლის ჟინი ეტყობა მაინცდამაინც.

ყველაფერი ეს შეუნიშნავს ბრუნოსაც, შაბათს, 16 დეკემბერს, ფილადელფიის „სპექტრუმ არენაში" რომ დასწრებია ტაისონ — ჰასთერ მათიას-უმცროსის არასაჩემპიონო ჩხუბს. ბრიტანეთის ახალ კერპ ბრუნოს მედიდურად განუცხადებია, ასეთ ტაისონს დავანოკაუტებო.

ამ შერკინებას ფათერაკიანობა თავიდანვე დაებედა. ჯერ იყო და ლას-ვეგასში ბოუ — ჰოლიფილდის მატჩის სახით კონკურენტი გამოუჩნდა. მერე ტაისონმა თითის ტრავმა მოიმიზეზა და შეჯიბრიც ატლანტიკ-სითისთვის გადაადებინა, მაგრამ იქაურმა კაზინომ, მენეჯერი კინგი რომ ვერ ეპიტნავება, შოუ აკრძალა. კინგმა სასწრაფოდ გააჩალიჩა ფილადელფია, ჭეშმარიტად საკრივო ქალაქი, სადაც გაზრდილა დიდი ჯო ფრეზერი, ადრინდელ ბუმბერაზ სონი ლისტონს კი მის გამო ესეც უთქვამს, ფილადელფიაში მეეზოვეობა მირჩევნია ნიუ-იორკში ქალაქის თავობასო.

ტაისონის იმდღევანდელი მეტოქე — მათიას-უმცროსი დიდი იღბლიანი ვინმე ყოფილა: პროფესიულ რინგზე მანამდე 31 შერკინება მოეგო, წაგებით კი ერთადერთი წაეგო — რიდიკ ბოუს დაუცია მეოთხე რაუნდში, მაგრამ მერე კიდევ დაურტყამს და წესი და რიგი რომ ყოფილიყო, მატჩის შედეგი უნდა გაებათილებინათ. გარდა ამისა, მათიას-უმცროსი მაიკ ჰანთერსაც უცემია, მაგრამ მერე ამისათვის დოპინგი აღმოუჩენიათ, მატჩი კი მართლაც გაუბათილებიათ.

ტაისონმა 219 გირვანქა აიწონა, მისმა მეტოქემ — 224. თუ მათიასი გაიმარჯვებდა, ბუქმეიქერები ფსონის გაოცდახუთმაგებას (25) კისრულობდნენ.

ტაისონი დუნედ ირჯებოდა. საბედნიეროდ, რეფერიმა და მეტოქის ბანკმაც ამჯერად 89 წამზე მეტი ადროვეს. ალბათ გეხსომებათ; ზაფხულში პირველი მეტოქის — პიტერ მაკნილის დამთხვეული სეკუნდანტი რინგზე რომ ახტა და ბრძოლა პირველსავე რაუნდში ჩაშალა.

როგორც ვარაუდობდნენ, ტაისონმა მართლაც მესამე რაუნდში გაიმარჯვა ნოკაუტით — დაწყებიდან 2 წუთი და 32 წამი რომ გასულიყო. თავად მაიკი კრივით კმაყოფილი ჩანდა, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდისო, მიმომხილველებმა კი შენიშნეს, 1990 წელს ტაისონმა უეცრად რომ წააგო ბასთერ დაგლასთან, მას მერე გაფუჭდა და ერთობ საეჭვოა, სამი თვის თავზე ბრუნოს რომ გაუძალიანდესო.

ვალერი ჯიქია

## რაგბი

# იმედით აღვიჭურვეთ!

ზელანდიის ნაკრების კვაჭსა და კაპიტანს, 32 წლის შონ ფითსპატრიქს ადრევე განეცხადებინა, პარიზში საფრანგეთთან თამაშის შემდეგ მწვრთნელი ლორი მეინსის დარად მეც თავს მივანებებ საერთაშორისო რაგბსო, მაგრამ ახლა უსაუბრია „ოლ ბლექსის" ახალ მოძღვარ ჯონ ჰართთან, ერთობ იმედიანადაც განწყობილა და პენსიაზე გასვლა ეს უკვე მერამდენედ განუსაზღვრელი ვადით გადაუდია.



ფითსპატრიქის მეთაურობით ზელანდიამ წელს ავსტრალიაში ტყვეობიდან გამოიხსნა ბლედისლოუს თასი

ფოთსპატრიქის წინამძღოლობა ერთობ მოუხდებათ ზელანდიელებს, რომლებსაც პროფესიული რაგბის პირველსავე სეზონში ერთობ სისხლსავსე კალენდარი ელით, უჩვეულოდ ბევრ — ათ (!) ტესტს რომ შეიცავს. ერთი, რომ მარტ-მაისის ზედიზედ 13 ვიქენდის მანძილზე ზელანდიის ხუთი რეგიონული გუნდი ავსტრალიისა და სამხრეთი აფრიკის ამავე რანგის გუნდებს შეეჯიბრება „ზე-თორმეტის" სერიალში, ივლის-აგვისტოში კი „ოლ ბლექსი" ჯერ „ვოლაბებსა" და „ქურციკებს" ორ წრედ შეეცილება სამხრეთი ნახევარსფეროს ჩემპიონობას, აფრიკაში ჩასული კი იქვე ტურნეს გამართავს.

ამის გამოა, წლევანდელი მსოფლიო თასი ფინალისტები — აფრიკა და ზელანდია გაისად ხუთჯერ (!) რომ შეხვდებიან ერთმანეთს. ამ სამი თვის წინ ზელანდიელ რაგბის მამებს შეუთვლიათ აფრიკელთათვის, საგაისო ტესტების რიცხვი სამამდე თუ არა, ეგებ ოთხამდე მაინც შეგვეკვეცაო, მაგრამ ესენი ჯორებივით გაჯიქებულან, რაც იოლი ასახსნელია: აგვისტოს ზედიზედ ოთხ შაბათ დღეს ოდინდელ მეტოქეს მასპინძლობენ, რაც უქადით საარაკო შემოსავალს, რომლის დიდი ნაწილი, როგორც განახლების გზაზე შემდგარ ქვეყანას შეშვენის, რაღა თქმა უნდა, რაგბში ზანგების მიზიდვას მოხმარდება.

| საგაისო სამხრეთული სეზონის განრიგი. ივნისი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | ნეიპირი | ზელანდია | — | სამოა | |
| 15 | დანიდინი | ზელანდია | — | შოტლანდია | I ტესტი |
| 22 | ოქლენდი | ზელანდია | — | შოტლანდია | II ტესტი |
| ივლისი | | | | | |
| 6 | ველინგთონი | ზელანდია | — | ავსტრალია | ჩემპიონატი |
| 13 | სიდნეი | ავსტრალია | — | აფრიკა | ჩემპიონატი |
| 20 | ქრაისთჩერჩი | ზელანდია | — | აფრიკა | ჩემპიონატი |
| 27 | ბრისბენი | ავსტრალია | — | ზელანდია | ჩემპიონატი |
| აგვისტო | | | | | |
| 3 | ბლუმფონტეინი | აფრიკა | — | ავსტრალია | ჩემპიონატი |
| 10 | ქეიფთაუნი | აფრიკა | — | ზელანდია | ჩემპიონატი |
| 17 | დურბანი | აფრიკა | — | ზელანდია | I ტესტი |
| 24 | პრეტორია | აფრიკა | — | ზელანდია | II ტესტი |
| 31 | იოჰანესბურგი | აფრიკა | — | ზელანდია | III ტესტი |

### ინგლისი — მანუ სამოა

2ლ, გ, 5ს (12) 27 - 9 (6) 3ს

წლის ბოლო ტესტი შაბათს, 16 დეკემბერს გაიმართა თვიქნემში. ქროდა სუსხიანი ნიავი, თითებგათოშილ მოასპარეზეებს კი ბურთი მალი-მალ ხელიდან უვარდებოდათ. სამხრეთაფრიკელი მსაჯი იენ როჯერსიც ერთთავად უგულებელყოფდა უპირატესობის წესს და უსტვენდა.

მასპინძლებს მწვრთნელი რაუელის მეთაურობით დიდი გარდაქმნა წამოეწყოთ, ქომაგებსაც შეპირებოდნენ, აწ კი გაყურებინებთ ლაზათიან თამაშსო, მაგრამ რაგბის მშობელი ქვეყანა ამჯერადაც გაწბილებული დარჩა: სამოა თავდადებით ბოჭავდა, მწვავე კონტრშეტევებსაც წამოიწყებდა ხოლმე და მეტოქეს არა და არ ნებდებოდა — დაახლოებით მე-60 წუთამდე ბევრითაც არ ჩამორჩებოდა 0:6, 3:9, 6:12, 9:15.

მასპინძლებს ნახევარმცველებად გამოეყვანათ ორი ნორსჰემპტონელი ახალბედა: მეთ დოუსონი (9) და პოლ გრეისონი (10). გრეისონმა თავიდან ხუთიდან ხუთი საჯარიმო შეაგდო და ამითაც აჯობა სამოას დამრტყმელ დარენ ქელეთს (10), მაგრამ მეექვსედ რომ დააპირა დარტყმა, ხალხმა ქოქოლა დააყარა — ბურთაობა და ლელოები მოგვენატრაო.

გრეისონს დარტყმა გაუცუდდა, ინგლისმა კი შეკვეთა უმალ შეასრულა — ჯერ ხუთმეტრიანი შერკინებიდან ქლარქის (8) მიერ აღებული ბურთი ხაზს იქით გადაიტანა ახალბედა ლოურენს დალაჯომ (7), მალე კი ქეთმა (15) „ჯვარი" გააკეთა და რორი ანდერვუდმაც (11) კარიერის 48-ე ლელო გაიტანა.

ინგლისმა მერეც სცადა ბურთაობა. ქეთი, გასქოთი (12) და კაპიტანი ქარლინგი (13) ბევრჯერაც წინ გაიჭრნენ, მაგრამ ხან ალღომ დაალალატათ, ხან — ტექნიკამ, ხანაც — განდაგან სირბილმა.

სამოას ძლევიდან ხუთი კვირის თავზე ინგლისი „პარკ დე პრენსზე" საფრანგეთს უნდა ეწვიოს. მიმომხილველებმა შენიშნეს, ასეთი თამაშით ინგლისი უეჭველად წააგებსო.

ყაფლან ჯანდიერი



# დიდი დანაკლისი

სურათზე გერმანელი ჩოგბურთელი ქალი შტეფი გრაფი მაშინაა ალბეჭდილი, სექტემბერში დიდი სლემის ბოლო შეჯიბრის — აშშ-ის ღია პირველობის ფინალი მონიკა სელეშს რომ მოუგო.

პარასკევს გაირკვა, რომ შტეფის ქალაქ ესენის კლინიკაში მარცხენა ტერფის ოპერაცია გაუკეთებია. ფეხის მოშუშებას და მოღონიერებას თურმე თვენახევრამდე სჭირდება, რის გამოც გრაფს ზედიზედ მეორედ გაუცდება სეზონის პირველი დიდი სლემური ღონისძიება — საგაისო ავსტრალიის ღია პირველობა, იანვარში მელბურნში რომ გაიმართება.

ირაკლი ნინუა

## აგდა-უგდა

ვესტ-ინდოეთის კრიკეტის მამებმა ერთობ ორიგინალურად შეარიგეს ზეკაშკაშა ვარსკვლავი, მსოფლიოს პირველი ტაფელოსანი ბრაიან ლარა. იმის გამო, რომ ბრიტანულ ტურნეზე „შატალო" ჩაუდენია, მას გასამრჯე[illegible] [illegible] გულმოსულმა ლარამ აღარ [illegible] ავსტრალიაში, სადაც ვესტ-ინდოეთი [illegible] კრიკეტის მსოფლიო სერიალში ასპარეზობს. მამები ხუთშაბათს ბარბადოსზე შეიკრიბნენ და დაადგინეს, რომ ბრაიანი ამ მორიგი „შატალოსათვის" აღარ დასაჯონ, აქაოდა ბიჭს ავსტრალიაში წასასვლელი კონტრაქტისათვის ხელი არ მოუწერია, რაკი იქ წასვლას არც აპირებდაო(!?)

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ აპატია (!?) ოთხ-ოთხწლიანი დისკვალიფიკაციები რუს თარჯმორბენალ ლუდმილა ნაროჟილენკოსა და გერმანელ სტაიერ ირის ბივერს, სტეროიდების ხმარებისათვის თავის დროზე რომ მიუცია. ფედერაციამ გადაწყვეტილება იმით გაამართლა, რუსეთისა და გერმანიის შრომითი კანონმდებლობები ამსიგრძე სასჯელს არა სცნობენო.

ცამეტკაციან, ლიგის რაგბში ბრიტანეთის უცნობილესმა კლუბმა „ვიგანმა" თასზე დამატებით დროში ძლივს რომ მოუგო „ვიდნესს", მასპინძლებს საჯაროდ დააბრალა, ჩვენთან სათამაშოდ მოედანი დაგივიწროებიათ (!?), გაშლილად ბურთაობა რომ გაგვჭირვებოდაო. „ვიდნესმა" იქეთ შეუტია „ვიგანს". წყალსაწრეტი სისტემის გასაუმჯობესებლად მოედანი ოდნავ შევავიწროვეთ ამ ზაფხულს, თქვენ კი ლიგამ უნდა დაგსაჯოთ, რადგანაც ამ ცილისწამებით მთელს ლიგის რაგბს ჩირქი მოსცხეთო.



გუშინწინ 56 წლისა უეცრად გარდაიცვალა 60-იანი წლების უძლიერესი ქართველი მორკინალი, „განთიადის", „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ლიდერი და მწვრთნელი

ზაურ მგელაძე

სარაგბო საზოგადოებრიობა გულწრფელად თანაუგრძნობს მგელაძეების მთელს ოჯახს, რომლის ღვაწლი ქართული რაგბის განვითარებისათვის განუზომელია.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29